აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა

მთავრობის საქმიანობის ანგარიში

2018-2019 წ.

შესავალი

აჭარის მთავრობამ, ბოლო 1 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა და კომპლექსური ღონისძიებები გაატარა სხვადასხვა მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელების მიზნით.

აჭარის მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკა ემსახურება აჭარის მდგრად და უსაფრთხო განვითარებას, ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, სიღარიბის დაძლევას, თითოეული მოქალაქის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, სოფლის მეურნეობის ხელშეწყობას, მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას, კერძო საკუთრებისა და შრომითი უფლებების დაცვას, ქვეყნის ეკონომიკურ სისტემაში ინტეგრირების უზრუნველყოფას, სამართლიანი სოციალური პოლიტიკის გატარებასა და სოციალური სერვისების დახვეწასა და ხელმისაწვდომობას. აჭარის მთავრობა საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დაკისრებულ სხვა მნიშვნელოვან ფუნქციებსა და ამოცანებს ასრულებს.

ფინანსების, ეკონომიკური პოლიტიკისა და ქონების ეფექტური მართვა

აჭარის ა.რ ბიზნეს სექტორის ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით, 2018 წელს, წინა წელთან შედარებით, აჭარაში დასაქმებულთა რაოდენობამ 7.4%-ით მოიმატა, პროდუქციის გამოშვება 11.1%-ით, ბრუნვა 2.3 %-ით, ქონების გადასახადი კი 5 მილიონი ლარით გაიზარდა.

2019 წლის პირველ კვარტალში, 2018 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, აჭარაში დასაქმებულთა რაოდენობამ 9%-ით მოიმატა, პროდუქციის გამოშვება 9%-ით, ხოლო ბრუნვა 14 %-ით გაიზარდა.

ბიუჯეტი

აჭარის მთავრობა მასში შემავალი უწყებების კოორდინაციის შედეგად, მოსახლეობის საჭიროების გათვალისწინებით, პროგრამული ბიუჯეტის დოკუმენტს ამზადებს, რომლის ფარგლებში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი (შემოსულობები) 289.8 მილიონ ლარს შეადგენს, რაც 2018 წლის მაჩვენებელზე 22.1 მილიონი ლარით, 8.3 %-ით მეტია.

2019 წლის საშემოსავლო გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი, 2018 წელთან შედარებით, 36.0 მილიონი ლარით, 16.0 %-ით გაიზარდა და 2019 წლისთვის 261.0 მილიონი ლარით განისაზღვრა;

აჭარის ა.რ 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი 18 159 400 ლარით გაიზარდა და 342 203 400 ლარი შეადგინა.

2019 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებების დაფინანსება გაიზარდა:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო - 324 000 ლარი;

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო - 7 125 712 ლარი;

აჭარის განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტრო - 3 190 909 ლარი;

აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო -2 899 600 ლარი;

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო - 648 356 ლარი.

აჭარაში მიმდინარე მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები

მაღალმთიანი აჭარის გაზიფიცირების პროექტი

მაღალმთიანი აჭარის გაზიფიცირების პროექტი მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში უკვე დაწყებულია მეორე ეტაპის სამუშაოები, რაც შუახევიდან-გოდერძიმდე 56 კმ გაზსადენის მილების მოწყობას ითვალისწინებს. მეორე ეტაპზე 15 200 აბონენტის გაზიფიცირება მოხდება. პროექტის ფარგლებში დასრულდა პირველი ეტაპი, რომლითაც სალიბაურიდან-ხიჭაურამდე 63 კმ მონაკვეთზე გაზსადენის მილების მონტაჟი განხორციელდა. პროექტის მეორე ეტაპით 11 900 აბონენტის გაზიფიცირება მოხდება.

დღეისათვის საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია საპროექტო სამუშაოებს აჭარის რეგიონის 4 მუნიციპალიტეტის 23 სოფელში ახორციელებს. საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება ოქტომბერში დასრულდება და მისი ჯამური ღირებულება 692 000 ლარს შეადგენს. პროექტირების დასრულების შემდეგ სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისთვის საჭირო პროცედურები დაიწყება, რის შედეგადაც 4000-მდე აბონენტს ბუნებრივი აირით სარგებლობის საშუალება ექნება. მშენებლობის სავარაუდო ღირებულება 15 500 000 ლარია.

დაიწყო, აჭარის რეგიონის სოფლების გაზიფიცირებისთვის საჭირო წინასაპროექტო მოკვლევა. საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის ჯგუფები აჭარის რეგიონის ხუთ მუნიციპალიტეტში (ჯამში 202 სოფელი) მუშაობენ და შემდგომი გაზიფიცირებისთვის საჭირო საკითხებს სწავლობენ. აღნიშნული სამუშაოები 2 თვის განმავლობაში გაგრძელდება.

გარდა გაზიფიცირებისა, აჭარის **ენერგომომარაგების** სრულად უზრუნველსაყოფად ახალი პროექტი განხორციელდება. ამ ეტაპზე ელექტროგადამცემი ძაბვებისთვის საჭირო შესაბამისი ადგილების გამოყოფისა და პროექტირების სამუშაოები მიმდინარეობს.

მაღალმთიანი აჭარის განვითარება

- მიმდინარეობს „გოდერძის“ მიმდებარე ტერიტორიების დეტალური სივრცით-გეგმარებით კონცეფციაზე მუშაობა, რაც კურორტზე საინვესტიციო პროცესების გაძლიერებას შეუწყობს ხელს. დაგეგმილია ახალი სათხილამურო ტრასის მოწყობა კურორტ „გოდერძზე“.
- მიმდინარეობს „მწვანე ტბის“ რეაბილიტაციის პროექტი, რაც ტერიტორიაზე საპიკნიკე, დასასვენებელი ადგილების და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურის

მოწყობას ითვალისწინებს. პროექტი ტურისტული სერვისების გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

- დაწყებულია კურორტ „ბეშუმის“ განვითარება, რაც ტერიტორიის ურბანული პოლიტიკის შექმნას და სამომავლოდ ბეშუმის სწორად განვითარებას ითვალისწინებს. ბეშუმის განვითარების მიზანია კურორტი გახდეს 4 სეზონზე მიმზიდველი ადგილი. კურორტ „ბეშუმში“ უძველესი ნამოსახლარების შესწავლის მიზნით, ასევე არქეოლოგიური გათხრების ჩატარებაა დაგეგმილი. საერთო ჯამში სამთო-სათხილამურო კურორტ გოდერძის, ბეშუმისა და მწვანე ტბის ეფექტური სივრიცითი დაგეგმარება და ეს ტურისტული კლასტერი ხელს შეუწყობს მაღალმთიანი აჭარისადმი ინტერესის ზრდას.

- დასკვნით ეტაპზეა აჭარაში, რამდენიმე ლოკაციაზე საპიკნიკე ადგილების მოწყობის პროექტი, რაც ბათუმი-ახალციხის ცენტრალურ გზაზე ტურისტებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობას ითვალისწინებს.

აჭარაში მყარი ნარჩენების მართვის პროექტი

აჭარაში მყარი ნარჩენების მართვის პროექტი მიმდინარეობს. პროექტი ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცეცხლაურში, თანამედროვე სტანდარტების ნარჩენების მართვის ობიექტის მშენებლობასა და ბათუმსა და ქობულეთში არსებული ძველი, არასტანდარტული ნაგავსაყრელების დახურვას (1 ბათუმში, 2 ქობულეთში) ითვალისწინებს.

პროექტი აჭარაში მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემის დანერგვას, აჭარაში ეკოლოგიური, სოციალური, ტურისტული გარემოს გაუმჯობესებას და ალტერნატიული ენერგიის მიღებას უზრუნველყოფს. ბიუჯეტი 7 მილიონი ევროა.

2010 წლის 18 თებერვალს, „აჭარის მყარი ნარჩენების პროექტის“ ფარგლებში, საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის 3 000 000 ევროს ღირებულების სასესხო ხელშეკრულებას მოეწერა ხელი.

2018 წლის 9 ნოემბერს, პროექტის ფარგლებში, საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის, 4 000 000 ევროს ღირებულების საგრანტო შეთანხმებას მოეწერა ხელი.

ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფო

დასრულდა ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს მშენებლობა. 170 საწოლზე გათვლილი მრავალპროფილური თანამედროვე სტანდარტების საავადმყოფო მოქალაქეებს მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებას შეთავაზებს. რესპუბლიკური საავადმყოფო უახლესი სამედიცინო ინვენტარით აღიჭურვება. სამედიცინო დაწესებულებაში საუნივერსიტეტო კლინიკაც განთავსდება, რითაც სტუდენტებს პრაქტიკული ცოდნის მიღებას შესაძლებლობა ექნებათ.

აჭარის დაბებისა სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა

აჭარაში წყლის სისტემის განვითარების პროექტი მიმდინარეობს. პროექტით აჭარაში მცხოვრები 215 000 აბონენტი ისარგებლებს. პროგრამის მიზანია აჭარაში წყალმომარაგებისა და წყალარინების თანამედროვე სისტემის დანერგვა, საინვესტიციო და ტურისტული მიმზიდველობის ზრდა, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, გარემოს დაცვა და წყლის რესურსების შენარჩუნება. შერჩეულ ტერიტორიებზე ადგილობრივი წყალმომარაგების კომპანიების გაძლიერება, ტექნიკისა და აღჭურვილობის შეძენა, კონსულტანტების დაქირავება და საინვესტიციო პროექტების მომზადება განხორციელდება. პროექტის ბიუჯეტი 50 მილიონი ევროა.

2018 წლის 24 აგვისტოს, საქართველოსა და რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KfW) შორის, „აჭარის სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა, საქართველო“ პროექტის ფარგლებში სასესხო ხელშეკრულებას მოეწერა ხელი, რომლის ოდენობა 40 000 000 ევროს შეადგენს.

2019 წლის 5 მარტს, საქართველოსა და რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KfW) შორის „წყალმომარაგება და წყალარინება აჭარის სოფლებსა და ნახევრად ურბანულ დასახლებებში“ პროექტის საგრანტო შეთანხმებას მოეწერა ხელი.

ბათუმის საფეხბურთო სტადიონი

დასკვნით ეტაპზეა ბათუმის საფეხბურთო სტადიონის მშენებლობა. 20 000 მაყურებელზე გათვლილი, უეფას მე-4 კატეგორიის სტანდარტების საფეხბურთო სტადიონი აჭარაში ჯანსაღი ცხოვრების გაძლიერებას შეუწყობს ხელს. საფეხბურთო სტადიონი გარდა სპორტული აქტივობებისა სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებსაც უმასპინძლებს.

ბათუმის სპორტული კომპლექსი

დასკვნით ეტაპზეა ბათუმის სპორტული კომპლექსის მშენებლობა. სპორტული ობიექტი 23 000 კვ. მეტრზე მოეწყობა და ის 3400 მაყურებელზე იქნება გათვლილი. კომპლექსში 12 სპორტული სახეობა დაიწყებს ფუნქციონირებას.

ძალოსნობის სავარჯიშო ბაზა

დაიწყო ჩაქვში ძალოსნობის სავარჯიშო ბაზის პროექტის განხორციელება. ეს იქნება ახალი სივრცე სპორტსმენებისთვის, სადაც სხვადასხვა დონის შეჯიბრებები ჩატარდება.

საინვესტიციო პოლიტიკა

აჭარაში საინვესტიციო-საპრივატიზაციო პროცესის ეფექტურად განხორციელების და სრულყოფის მიზნით, აჭარის მთავრობის განკარგულების ფარგლებში ინვესტიციების ხელშეწყობის ახალი წესი ამოქმედდა.

წესის მოქმედება იმ ინვესტორების მიმართ ვრცელდება, რომლებსაც სამინისტროსთან ხელშეკრულებით ნაკისრი აქვთ შესაბამისი ვალდებულებები და მიმართავენ სამინისტროს პრივატიზებულ, სარგებლობაში/მართვის უფლებით გადაცემულ ქონებაზე ხელშეკრულების პირობების შეცვლის/დამატებითი ვადის მიცემის (პირგასამტეხლოს გარეშე) ან/და ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლების მოთხოვნით. განცხადებასთან ერთად ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია.

აღნიშნული რეგულაციის ფარგლებში 35 საინვესტიციო პროექტი უკვე განახლდა, რომელთა განსახორციელებელი ჯამური ინვესტიცია 220 250 000 ლარს და 165 250 000 დოლარს შეადგენს. კომპანიების მიერ წარმოდგენილია საბანკო გარანტია - 2 449 981 ლარი და 357 000 დოლარი.

ბოლო 1 წელში აჭარის **საინვესტიციო პორტფელი 1 მილიარდი ლარით** გაიზარდა.

მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის მხარდაჭერა

ბიზნეს საქმიანობის ხელშეწყობის ფარგლებში აჭარაში მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამა მოქმედებს. პროგრამის მიხედვით, სუბიექტებისთვის სესხის დამტკიცებისა და გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას კონკურსის შედეგად შერჩეული კომერციული ბანკი ახორციელებს, ხოლო აჭარის ავტონომიური

რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, თავის მხრივ, იღებს ვალდებულებას მოახდინოს პროგრამის ბენეფიციართა თანადაფინანსება 12%-ის ოდენობით (15%-დან), სამი საანგარიშო წლის განმავლობაში.

- 2018 წელს პროგრამით 16 ბენეფიციარმა ისარგებლა, თანადაფინანსების ჯამურმა თანხამ 114 403 ლარი შეადგინა;
- 2019 წლის ივნისის მდგომარეობით პროგრამით 8 ბენეფიციარმა ისარგებლა, თანადაფინანსების ჯამურმა თანხამ 21 281 ლარი შეადგინა.

ბიზნეს საქმიანობის ხელშეწყობის ფარგლებში კიდევ ერთი **პროგრამა „იდეებიდან წარმატებამდე“** ამოქმედდება. პროგრამა ტურიზმის, მსუბუქი მრეწველობისა და მომსახურების სექტორების განვითარების მიზნით სტარტაპებისა და არსებული მიკრო/მცირე ბიზნეს-სუბიექტების მხარდაჭერას ითვალისწინებს, რომელიც 2019 წელს UNDP-ისთან თანამშრომლობით განხორციელდება. პროგრამის მიხედვით პრიორიტეტი იმ ბიზნეს იდეებს მიენიჭება, რომელთა განხორციელების ლოკაცია იქნება სოფლად.

ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით აჭარაში ეკონომიკური ობსერვატორია ფუნქციონირებს. პროგრამის მისიაა აჭარის ა.რ სამთავრობო უწყებების საქმიანობის ეფექტიანობის ზრდის ხელშეწყობა საჯარო პოლიტიკის დაგეგმვის, განხორციელების და შედეგების შეფასების პროცესში. პროგრამა ახალი საბიუჯეტო პროგრამის ინიცირების დროს, კონკრეტული პროგრამის საჭიროების კვლევის ჩატარებას და რეკომენდაციების მომზადებას ითვალისწინებს.

2018 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა ეკონომიკური კვლევები ჩატარდა:

- ბათუმის უძრავი ქონების ბაზრის კვლევა;
- იმპორტის ჩანაცვლების პერსპექტივები-ადგილობრივი წარმოების განვითარება;
- აჭარის საინვესტიციო პოტენციალის შეფასება;
- საინვესტიციო პროექტი-„გართობისა და დასვენების ცენტრი“.

ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა

დაიწყო **პროაქტიული საინვესტიციო პოლიტიკის** განხორციელება, რაც სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სრულ აღწერა-ინვენტარიზაციას, ბიზნესის

მხარდამჭერ პროგრამებს, ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობას, პოტენციური ინვესტორებისათვის მონაცემების ვებ-სივრცეში განთავსებას და მათთვის ასევე პირდაპირი შეთავაზებებს ითვალისწინებს.

ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, საერთაშორისო ფინანსურ კორპორაციებთან ერთობლივი პროგრამის ამოქმედების მიზნით, მოლაპარაკებები მიმდინარეობს. პროექტი მცირე ბიზნესის მხარდასაჭერად შეღავათიანი სესხის პროგრამის ამოქმედებას გულისხმობს, რაც ინვესტიციების მოზიდვას შეუწყობს ხელს.

აჭარაში საინვესტიციო პროექტების განხორციელებისა და ტურიზმის განვითარებისთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ლოკაციის განვითარება დაიწყო. მომზადდა 440 ჰექტარზე **დაბა ჩაქვისა და კურორტ ციხისძირის** სანაპირო ზოლის განაშენიანების რეგულირების გეგმა. აღნიშნული ადგილი განტვირთვისა და პასიური დასვენებისთვის იქნება გათვალისწინებული. ამ ეტაპზე განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, მიწის ნაკვეთების დაყოფა და მათი საინვესტიციოდ მომზადება მიმდინარეობს.

შეიქმნა **გონიოს განვითარების ხედვა.** პროექტი გონიოს 48 ჰექტარი ტერიტორიის ეკო-მეგობრულ მრავალფუნქციურ განვითარებას ითვალისწინებს. ეს არის ასევე ახალი საინვესტიციო შესაძლებლობა აჭარისთვის, რაც რეგიონის ტურისტულ და ეკონომიკურ განვითარებას შეუწყობს ხელს. ახალი ტურისტული ლოკაციის განაშენიანება მდგრადი ეკონომიკური განვითარების კონცეფციის გათვალისწინებით მოხდება. უკვე ჩატარდა გონიოს განვითარების წინამოსამზადებელი სამუშაოები, ხოლო დეტალური დაგეგმარება მიმდინარე წელს დასრულდება. გარდა ამისა უკვე დასრულდა გონიო-კვარიათის მთიანი ნაწილის ურბანული განვითარების დეტალურ სივრცით-გეგმარებით კონცეფციაზე მუშაობა და მიმდინარეობს სარფის მთიანი ნაწილის ურბანული განვითარების დეტალურ სივრცით-გეგმარებით კონცეფციაზე მუშაობა.

აზიის განვითარების ბანკთან მიღწეულია შეთანხმება, რაც ბათუმის ბულვარის გაგრძელებასა და გონიოს პოლიგონის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის მომზადებას ითვალისწინებს.

დაიწყო მაღალმთიან აჭარაში **სპორტული ტურიზმის,** როგორც ახალი საინვესტიციო და ტურისტული შესაძლებლობის განვითარებაზე მუშაობა. მომზადდა გომარდულის განვითარების ხედვა და უკვე დაწყებულია გომარდულის განვითარების გეგმაზე მუშაობა, რაც მიმდინარე წელს დასრულდება. პროექტი 40 ჰექტარ ტერიტორიაზე სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობას ითვალისწინებს. პროექტის მიზანია გომარდული გახდეს 4 სეზონზე გათვლილი კურორტი. სპორტული ტურიზმის განვითარების ფარგლებში მაღალმთიან აჭარაში უკვე შერჩულია 3 მიწის ნაკვეთი, რომლებზეც ტექნიკურ ეკონომიკური კვლევა ჩატარდება, ხოლო გომარდულში დეტალური განაშენიანების გეგმა მომზადდება.

ინტენსიურად მიმდინარეობს სათხილამურო კურორტ **გოდერძის** განვითარება. ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, ტერიტორიაზე არსებული 80 საკოტეჯო ადგილის პრივატიზება იგეგმება. ამ დროისთვის კურორტზე 18 მასშტაბური პროექტი მიმდინარეობს, რომლის საინვესტიციო ღირებულება 150 მლნ ლარს შეადგენს. უკვე დაიწყო გოდერძის განვითარების მეორე ეტაპი, რომლის ფარგლებში 200 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე განშენიანების რეგულირების გეგმის მომზადება უკვე დაწყებულია.

დაიწყო **სამრეწველო ზონის განვითარება.** ახალი პროექტი ხელვაჩაურში 2 000 მ2-50 000 მ2 ფართობის მიწის ნაკვეთებზე საწარმოების მოწყობას ითვალისწინებს. პროექტი ეკონომიკურ განვითარებას შეუწყობს ხელს. ამ დროისთვის უკვე გამოვლენილია გზების და კომუნალური ინფრასტრუქტურის პროექტანტი კომპანია.

ქობულეთის განვითარება აქტიურად მიმდინარეობს. დაიწყო უპრეცედენტო, ნახევარი მილიარდი ლარის ღირებულების საინვესტიციო პროექტი ქობულეთში, რომლის ფარგლებში მულტიფუნქციური **„მწვანე ქალაქი“** აშენდება. უმსხვილესი პირდაპირი ევროპული ინვესტიციის განხორციელება ქობულეთში 180 ჰექტარზე დაიწყო."მწვანე ქალაქის" პროექტის ფარგლებში საინვესტიციო ტერიტორიის 70%-ზე სარეკრეაციო ზონა მოეწყობა. პროექტში გათვალისწინებულია გოლფის მოედანი, საფეხბურთო მოედნები, საჩოგბურთო კორტები, სხვადასხვა ზომის საცურაო აუზები, რეკრეაციული ზონები, ველობილიკი, სარბენი ბილიკი, დასასვენებელი ზონები და სათამაშო მოედნები. ასევე აშენდება 250 ნომრიანი მაღალი კლასის სასტუმრო, ერთ-ერთი ყველაზე დიდი სპა-ცენტრით ევროპაში, სხვადასხვა ტიპის კვების ობიექტებით, საკონფერენციო დარბაზითა და ვილებით. სასტუმროსა და გამაჯანსაღებელი ცენტრის მართვას საერთაშორისო ბრენდი განახორციელებს. აჭარის მთავრობასა და კომპანია „გრინ რეზორთს“ შორის გაფორმებული საინვესტიციო შეთანხმების თანახმად, მშენებლობის პროცესში და ოპერირებისას 500 ადამიანი დასაქმდება.

ქობულეთის ტურისტული ზონის განვითარების ფარგლებში, საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის პროცესი მიმდინარეობს. პროექტი საინვესტიციოდ მიმზიდველი ისეთი წინადადების მომზადებას ითვალისწინებს, რაც ქობულეთის ტურისტული ზონისადმი ინტერესის ზრდას და ახალი საინვესტიციო პროექტების განხორციელებას შეუწყობს ხელს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საინვესტიციო პოტენციალის ცნობადობის გაზრდა ინტენსიურად მიმდინარეობს, რომლის ფარგლებშიც 2018 წელს სხვადასხვა აქტივობები განხორციელდა:

- მეოთხე ნაციონალური ექსპორტიორთა ფორუმი უკრაინაში, ქ.კიევში. ფორუმზე აჭარის საინვესტიციო პოტენციალი იყო წარმოდგენილი.
- „საქართველო-ჩეხეთის ბიზნეს ფორუმი”, რომელსაც ჩეხეთის რესპუბლიკიდან მაღალი რანგის დელეგაცია, ასევე სახელმწიფო უწყებების და კერძო ბიზნეს სუბიექტების 100-მდე წარმომადგენელი დაესწრო.

- ბიზნეს ვორქშოპი კურორტ „გოდერძზე“. აღნიშნულ ღონისძიებაზე აჭარაში ინვესტიციების განხორციელებით დაინტერესებული უცხოური კომპანიების ხელმძღვანელი პირები, კურორტ გოდერძის საინვესტიციო პოტენციალს გაეცნენ.
- აჭარის დელეგაციამ მსოფლიო სავაჭრო გამოფენაში მიიღო მონაწილეობა.
- აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ მე-8 საერთაშორისო სამშენებლო მასალების, ტექნოლოგიებისა და უძრავი ქონების გამოფენა „Batumi Build 2018“ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა.
- აჭარის რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის უკეთ პოზიციონირებისთვის მარკეტინგული სამოქმედო გეგმა შეიქმნა, რომელიც პოტენციური სამიზნე ბაზრებისა და საკომუნიკაციო არხების განსაზღვრას, 2018 წლის სარეკლამო სამოქმედო გეგმის და სარეკლამო კამპანიის მუშაობის შედეგების გაზომვის ინდიკატორებს მოიცავს.
- აჭარის საინვესტიციო პოტენციალის კვლევა ჩატარდა. აჭარის პრიორიტეტული საინვესტიციო მიმართულებები გამოვლინდა, რომლებიც სამიზნე ქვეყნების განსაზღვრისა და ვიდეო რგოლების თემატიკისთვის იქნება გამოყენებული.
- 2019 წელს ქალაქ ბათუმში პოლონურ-ქართული ბიზნეს ფორუმი გაიმართა.

მცირე მთავრობის კონცეფცია და მმართველობა

აჭარის მთავრობა ატარებს მცირე მთავრობის კონცეფციის პოლიტიკას, რომლის ფარგლებშიც აჭარის მთავრობის აპარატის ეფექტური საქმიანობის უზრუნველსაყოფად აპარატი შემცირდა 1/3-ით, რამაც 1 მლნ ლარით ადმინისტრაციული ხარჯების კლება განაპირობა.

ღია და ანგარიშვალდებული მმართველობის დამკვიდრების მიზნით, ბოლო პერიოდში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა: საჯარო მომსახურების გაუმჯობესება, საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება, საჯარო რესურსების უკეთესი მართვა, უსაფრთხო გარემოს შექმნა და კორპორაციული პასუხისმგებლობის გაუმჯობესება.

მმართველობის გამჭვირვალეობის მიზნით იმართება მთავრობის გასვლითი სხდომები მუნიციპალიტეტებში.

სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისია

სოციალური პარტნიორობის სამმხრივი ტერიტორიული კომისია მუშაობს, რომლის საქმიანობის მიზანია დაარეგულიროს ურთიერთობა დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის, დაიცვას დასაქმებულთა უფლებები, უსაფრთხოება, განიხილოს შრომითი დავები. კომისიამ თავისი მუშაობის ფარგლებში უკვე განიხილა სხვადასხვა ინიციატივა, მათ შორის ზეგანაკვეთური სამუშაო დროის საკითხი. კომისიის დანიშნულებაა

განავითაროს სოციალური დიალოგის კულტურა და ხელი შეუწყოს დიალოგის გზით ნებისმიერი სადავო საკითხის მოგვარებას.

საერთაშორისო ურთიერთობები

გრძელდება საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების აქტიურობა აჭარაში. ხელი მოეწერა მსხვილ სასესხო და საგრანტო ხელშეკრულებებს ისეთ დონორ ორგანიზაციებთან, როგორებიცაა KfW, UNDP, CENN. მოხდა სხვადასხვა დარგში პროექტების ინიცირება (მმართველობა, გარემოს დაცვა, სოფლის განვითარება).

ბათუმმა უმასპინძლა NATO-ს, აშშ-ს, ბრიტანეთისა და თურქეთის რესპუბლიკის სამხედრო ხომალდებს. აჭარის რეგიონმა უმასპინძლა პოლონეთის, ჩეხეთის, უკრაინის, ირანის, ჩინეთისა და თურქეთის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების დელეგაციებს. აგრეთვე, შედგა გაერო-ს ელჩების ყოველწლიური ვიზიტი აჭარაში.

გაფორმდა დამეგობრების შესახებ მემორანდუმები, როგორც რეგიონულ (მალოპოლსკას სავოევოდო, პოლონეთი), ასევე მუნიციპალურ დონეზე.

აჭარისა და მადეირას ავტონომიურ რეგიონებს შორის დაიგეგმა ურიერთთანამშრომლობის გაღრმავება.

ტურიზმის განვითარების პოლიტიკა

აჭარაში ტურიზმისა და კურორტების განვითარების მიზნით, აჭარის მთავრობა სტრატეგიულ პოლიტიკის ახორციელებს, რაც აჭარის ტურისტული შესაძლებლობების გამოვლენას, ტურისტული პროდუქტების გამრავალფეროვნებას და საერთაშორისო და შიდა ბაზარზე რეგიონის ცნობადობის გაზრდას ითვალისწინებს. მუშაობს ტურიზმის საკოორდინაციო საბჭო, რომლის მიზანიცაა რეგიონში ზაფხულის ტურისტული სეზონის ეფექტურად წარმართვა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

2018 წელს, აჭარაში, უცხოელი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა 2 104 800 შეადგენს, რაც 9,7%-ით მეტია 2017 წლის მონაცემებზე.

ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ფარგლებში დაიწყო პროგრამები:

- ახალი ტურისტული ადგილების განვითარება;
- მაღალმთიან აჭარაში სპორტული ტურიზმის განვითარება;
- ეკო ტურიზმის განვითარება - მაღალმთიან აჭარაში ეკო და ბიო სასტუმროების მოწყობის მიზნით, ადგილების იდენტიფიცირება და შესწავლა ხორციელდება;

- ადმინისტრაციული ცენტრების კეთილმოწყობა. პროექტი ქედის, შუახევისა და ხულოს დაბების კეთილმოწყობას ითვალისწინებს, რაც დაბების ეკონომიკურ და ტურისტულ განვითარებას შეუწყობს ხელს.

ეთნოსოფელი მაჭახლის ხეობაში

მაჭახლის ხეობაში მიმდინარეობს პროექტი ეთნოსოფელი, რომლის მიზანია:

- ხეობაში არსებული ეთნოგრაფიული ძეგლების შენარჩუნება-პოპულარიზაცია;
- ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;
- ეკონომიკური აქტივობის ზრდა;
- გარემოს დაცვა და გაჯანსაღება.

საერთაშორისო ვიზიტორების ზრდის დადებითი დინამიკა ნარჩუნდება როგორც ტრადიციული ბაზრებიდან, ასევე ევროკავშირის წევრი ახალი სამიზნე ქვეყნებიდან.

- ესტონეთი +88,2%
- გერმანია +79,2%
- დიდი ბრიტანეთი +33.9%
- ლიეტუვა +33,2%
- პოლონეთი +11,5%

ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის მონაცემებით, აჭარაში 2018 წელს, 269 090 საერთაშორისო მოგზაურის ვიზიტი განხორციელდა. ზრდა წინა წელთან შედარებით 23,7%- ია.

საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების ზრდა არის ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის 2019 წლის 4 თვის მონაცემებითაც, რაც 42%-ს შეადგენს.

2019 წლის 4 თვის მონაცემებით, დადებითი ტენდენციები ნარჩუნდება ევროპული ქვეყნებიდან: გერმანია (+21%), პოლონეთი (+32%), ესტონეთი (+150%), ლატვია (+30%) და დიდი ბრიტანეთი (+20%).

მაღალმთიან აჭარაში მოგზაურების რაოდენობა გაზრდილია. 2018 წლის მონაცემებით, აჭარის მუნიციპალიტეტებში ეკო და სოფლად არსებულ ტურისტულ მარშრუტებზე 244 478 ვიზიტორმა იმოგზაურა, რაც 2017 წლის მონაცემებს 124%-ით აღემატება.

- +38% - ქობულეთის ტურისტული მარშრუტები
- +112% - ხელვაჩაურის ტურისტული მარშრუტები
- +12% - ქედის ტურისტული მარშრუტები
- +31% - ხულოს ტურისტული მარშრუტები
- +26% - შუახევის ტურისტული მარშრუტები

2018-2019 წლებში აჭარაში არსებულ რეგისტრირებულ სექტორს საერთაშორისო სტანდარტების **14 განთავსების ობიექტი** შეემატა, რითაც არსებული საწოლი ადგილები 1,281-ით გაიზარდა. ჯამში, მიმდინარე ინფორმაციით აჭარაში 393 განთავსების ობიექტი და 22, 883 საწოლი ადგილია.

2018 წლის ზაფხულის ტურისტულ სეზონზე ბათუმის მიმართულებით **ფრენების რაოდენობა გაიზარდა.** ზაფხულის ტურისტულ სეზონზე ჯამში ბათუმის მიმართულებით 22 ავიაკომპანიამ შეასრულა ფრენა ისრაელიდან, ირანიდან, რუსეთიდან, არაბეთის გაერთიანებული საემიროებიდან, ბელარუსიიდან, თურქეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. განხორციელდა ჩარტერული რეისებიც. ზაფხულის სეზონზე ბათუმის მიმართულებით კვირაში საშუალოდ 120-მდე ფრენა განხორციელდა. ბათუმში საერთაშორისო ფრენების რაოდენობამ 1319 მიაღწია, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდს 50%-ით აღემატებოდა.

2019 წელს ზაფხულის ტურისტულ სეზონზე **ბათუმის მიმართულებით ფრენების** რაოდენობა გაიზრდა. ბათუმის მიმართულებით ფრენებს 25 ავიაკომპანია 24 მიმართულებით შეასრულებს. გარდა რეგულარული ფრენებისა ისრაელიდან, ირანიდან, რუსეთიდან, არაბეთის გაერთიანებული საემიროებიდან, ბელარუსიიდან, თურქეთიდან და სხვა ქვეყნებიდან ემატება ჩარტერული რეისებიც, მათ შორის ევროპული ქვეყნებიდან.

- ტალინი - ბათუმი (ავიაკომპანია Smartlynx Airlines)
- ვილნიუსი - ბათუმი (ავიაკომპანია GETJET)
- ბაქო- ბათუმი (ავიაკომპანია BUTA Airway)
- ვარშავა- ბათუმი (ავიაკოპანია Enter Air)

2019 წლის აქტიურ ტურისტულ სეზონზე ბათუმის მიმართულებით 6 ახალი ავიაკომპანია შეასრულებს ფრენებს - FLYNAS, BUTA Airway, GETJET, Enter Air, SkyUp Airlines, Smartlynx Airlines.

2019 წლის, ტურისტულ სეზონზე ბათუმის აეროპორტს 6 ახალი მიმართულება დაემატება, ჯამში კი ფრენები 24 მიმართულებით შესრულდება:

- რიადი -ბათუმი
- ვილნიუსი-ბათუმი
- ნოვოსიბირსკი- ბათუმი
- ბაქო-ბათუმი
- ჩელიაბინსკი - ბათუმი
- ტალინი - ბათუმი

აჭარაში **სერვისის განვითარების მიმართულებით** საქმიანობა აქტიურად მიმდინარეობს. 2018 წლიდან დღემდე, ტურიზმის სკოლის ფარგლებში, სექტორში დასაქმებული 1000-ზე მეტი პირი (გიდები, ტურისტული კომპანიების, საოჯახო-სასტუმრო სახლების, კვებისა და განთავსების ობიექტების წარმომადგენლები) გადამზადდა.

ასევე შეიქმნა ორი 2 პრაქტიკული სახელმძღვანელო გიდებისათვის: გიდის პრაქტიკული სახელმძღვანელო და ღვინის გიდის გზამკვლევი.

განთავსების და კვების 200 ობიექტში მომსახურების ხარისხის კვლევა „იდუმალი სტუმარი“ და ასევე ტურიზმის სექტორის მომსახურების ხარისხის კვლევა ჩატარდა.

2018 წლის იდუმალი სტუმრის პროექტის კვლევის შედეგების მიხედვით, საინფორმაციო ცენტრების ტოტალური ინდექსი (საერთო შეფასება) არის - **85** ქულა, რაც ძალიან კარგი მაჩვენებელია და მომსახურების მაღალ დონეზე მიუთითებს. ძირითადი მიზეზი, ,,ძალიან კარგი“ შეფასების მიღების არის თანამშრომლების მხრიდან, მომსახურების სტანდარტების მაღალ დონეზე შესრულება, განსაკუთრებით აღსანიშნავია, მომხმარებლის მიერ საინფორმაციო ცენტრებში ,,მომსახურების მიღების“ ბლოკის სტანდარტების დაცვა.

2018 წელს, **აჭარის პოპულარიზაცია** 16 სამიზნე ქვეყანაში სხვადასხვა მარკეტინგული და სარეკლამო აქტივობებით განახორციელა. სატელევიზიო რეკლამა და გადაცემები BBC-ზე, Euronews-ზე, CNN-ზე, Deutsche Welle-ზე, RTL-ზე და N-TV-ზე განთავსდა. გარე რეკლამები სამიზნე ქვეყნების 35-ზე მეტ ქალაქში და ონლაინ რეკლამა 14 ქვეყნის სოციალურ და ონლაინ პლატფორმებზე განხორციელდა. აჭარის შესახებ სარეკლამო სტატიები წამყვანი ავიაკომპანიების საბორტო ჟურნალებსა და სამიზნე ქვეყნების პოპულარულ მედიაგამოცემებში განთავსდა: Wizzair Magazine, Qatar Airways, British Airways, Ukraine International Airlines, Scat Airlines, Where.ge, Travel Poland, Nat Geo Traveller, Business Treveller, Birdwatch.

ქვეყნის შიგნით აჭარის პოპულარიზაცია სხვადასხვა მარკეტინგული საშუალებებით განხორციელდა. ასევე, აჭარის შესახებ საიმიჯო ვიდეო რგოლები მომზადდა.

აჭარის პოპულარიზაცია საერთაშორისო მედიით ხორციელდება - 2019 წელი

2019 წელს აჭარის ტურისტულ პროდუქტების პოპულარიზაცია აქტიურად გრძელდება. საიმიჯო ვიდეორგოლები BBC-ის, Deutsche Welle-სა და ევრონიუსზე განთავსდა.

აჭარი პოპულარიზაცია წელს 16 სამიზნე ქვეყანაში სხვადასხვა მარკეტინგული არხებით მიმდინარეობს.

ივნისიდან, აჭარის სატელევიზიო რეკლამა წელს პირველად დაიწყება National Geographic-სა და Travel Channel-ის სატელევიზიო ეთერში.

პარალელურად სარეკლამო სტატიები ქვეყნდება ისეთი წამყვანი ავიაკომპანიების საბორტო ჟურნალებში, როგორებიცაა Turkish Airlines, Belavia, Wizzair, უკრაინის ავიახაზები და Scat. ივნისიდან, რიგასა და ტალინში ტრამვაი აჭარის საიმიჯო ფოტოებით დაიბრენდება.

აქტიურად მიმდინარეობს წამყვანი **ჟურნალისტებისა და ტურისტული სააგენტოების** წარომადგენლების ჩამოყვანა აჭარაში. 2018 წელს, აჭარის ტურისტულ პროდუქტებს 125 ჟურნალისტი და ტურისტული სააგენტოს 110 წარმომადგენელი გაეცნო.

2019 წელს, ამ ეტაპზე 18 მედია-ინფოტურს გაეწია ორგანიზება ლიეტუვადან, ლატვიადან, ესტონეთიდან, პოლონეთიდან, ბელორუსიდან, აზერბაიჯანიდან, უკრაინიდან, ბრიტანეთიდან, ისრაელიდან, თურქმენეთიდან და შვედეთიდან. დაგეგმილია ტურები არაბთა გაერთიანებული საემიროებიდან და გერმანიიდან. წლის განმავლობაში ჯამში 40-მდე ინფო და მედიატური განხორციელდება.

2018 წელს, რეგიონის პოპულარიზაცია მსოფლიო მასშტაბით 24 საერთაშორისო **ტურისტულ გამოფენაზე** განხორციელდა(ლონდონი, პარიზი, ბარსელონა, მადრიდი, ფრანქფურტი, თელავივი, ტალინი, ვილნიუსი და სხვა). 2019 წელს, ჯამში 27 გამოფენაში იგეგმება მონაწილეობის მიღება.

2018 წელს **ინტერნეტ სარეკლამო კამპანიები** 15 სამიზნე ქვეყანაში სხვადასხვა პლატფოფორმებზე ჩატარდა (Facebook, Instagram, Google Display Network, Google Search, Youtube). შეიქმნა მობილური აპლიკაცია Android და IOS პლატფორმებზე.

2019 წელს, აჭარის **ონლაინ რეკლამირება** 14 სამიზნე ქვეყანაში პოპულარულ სოციალურ მედიაპლატფორმებზე, განხორციელდება - Facebook, Youtube, Instagram, Google Search და Google Display Network. წელს , ონლაინ რეკლამა რუსეთისა და თურქეთის გარდა ყველა სამიზნე ქვეყანაში განხორციელდება.

შეიქმნა აჭარის რეგიონის ტურისტული განვითარების სტრატეგია 2018-2025 წლები

- ტურისტული პროდუქტის განვითარების კონცეფცია
- ტურისტული სერვისის გაუმჯობესების კონცეფცია
- ძველი ბათუმის ტურისტული განვითარების კონცეფცია

მიმდინარეობს მთიანი აჭარის ტურისტული მარშრუტების რუკების განახლება: მაჭახელას თოფის გზა, ქედის ღვინის მარშრუტი, გოდერძის სამთო სათხილამურო მარშრუტი, გობრონეთი-ლატევრის მთის მარშრუტი, მირვეთის საპიკნიკე/ველო მარშრუტი, თაგო-სხალთის საფეხმავლო მარშრუტი, მტირალას ეროვნული პარკის მარშრუტი).

განხორციელდა 8 საინფორმაციო ცენტრის განახლება და მოდერნიზება.

აჭარის რეგიონის ღონისძიებების ელექტრონული კალენდრის გვერდი შეიქმნა - სადაც შესაძლებელია რეგიონში მიმდინარე ყველა ღონისძიების ნახვა. კალენდარს აქვს თან ახლავს ელექტრონული სისტემა, რომლის მეშვეობითაც ყველა კომპანია, ორგანიზატორი და უწყება თავად შეძლებს ღონისიძიების დარეგისტრირებას კალენდარში.

ტურისტული საინფორმაციო ცენტრების ბაზაზე შეიქმნა ელექტრონული პლათფორმა, რომლის მეშვეობითაც ტურისტული ობიექტები უკვე ელექტრონულად შეძლებენ რეგისტრაციას საინფორმაციო ცენტრების ბაზაში. ეს პროგრამა სრულყოფს საინფორმაციო ცენტრების ბაზას და უფრო მოქნილს გახდის მას.

მიმდინარეობს მთიანი აჭარის ტურისტული პოტენციალის და **ტურისტული მარშრუტების გვერდის** მომზადება, სადაც თავმოყრილია მთიან აჭარაში არსებული ყველა მოქმედი ტურისტული მარშრუტი, რუკით და მოგზაურობისთვის საჭირო პრაქტიკული ინფორმაციით.

კერძო სექტორის მხარდასაჭერად და მთიანი აჭარის ტურების გაყიდვების სტუმულირებისთვის **ელექტრონული ტურების კალენდარი** შეიქმნა, რაც დაინტერესებული პირებისთვის აჭარის ტურების ნახვა/დაჯავშნას ითვალისწინებს, ასევე ტურისტულ სააგენტოებს ტურის კალენდარში დარეგისტრირების საშუალებას აძლევს. სისტემა უკვე შექმნილია და სააგენტოებთან თანამშრომლობის ფორმის იურიდიულად დამუშავება მიმდინარეობს.

უკვე გამოცხადდა ტენდერები ღონისძიებებსა და ფესტივალებზე:

- ბათუმის ზაფხულის ფესტივალი
- ქობულეთის ზაფხულის ფესტივალი

- სოფლის ტურიზმის ფესტივალი „განდაგანა“
- გადამფრენ ფრინველებზე დაკვირვების ფესტივალი
- სოფლის ტურიზმის საერთაშორისო კონფერენცია
- ზამთრის ფესტივალი- გოდერძი

2019 წელს მიმდინარეობს მუშაობა **ჭვანას ხეობის** ტურისტული განვითარების გეგმის და ხაბელაშვილების ხიდიდან წისქვილების სოფლამდე არსებული ტერიტორიის ტურისტული ზონირებისა და ინფრასტრუქტურის გეგმის მომზადებაზე. პროექტის მიზანია შუახევის მუნიციპალიტეტში ახალი საინტერესო ტურისტული მიმართულების ჩამოყალიბება, ეკოტურიზმის, სოფლის ტურიზმისა და ხეობის კულტურულ-ეთნოგრაფიული ღირებულებების პოპულარიზაცია, ბუნებრივი გარემოს დაცვა, დასაქმების ხელშეწყობა, ადგილობრივი ეკონომიკისა და მდგრადი ტურიზმის განვითარება.

ჭვანას ხეობის განვითარების გეგმის პროექტი ითვალისწინებს ხეობის ტურისტულად განვითარების ხედვის დეტალური კონცეფციის მომზადებას (ჭვანის ხეობა მთლიანად ჯვარი მინდორის ჩათვლით)და ასევე, ხაბელაშვილების თაღოვანი ხიდიდან ე.წ. წისქვილების სოფლამდე არსებული ტერიტორიის სივრცითი განვითარების გეგმის, ჭვანის ხეობის განვითარების კონცეფციის პროექტის სადემონსტრაციო-საპრეზენტაციო ვიდეო და 3D ვერსიების, ჭვანის ხეობის ტურისტული ბილიკების მარკირების პროექტების მომზადებას;

ხულოს ცენტრთან ახლოს მდებარე სოფლების ტურისტული პოტენციალის დეტალური კვლევა და ტურისტული ბილიკების მარკირების პროექტების მომზადება მიმდინარეობს. მარკირების პროექტების ფარგლებში მოხდება ტურისტულად საინტერესო ადგილების ინვენტარიზაცია, ძეგლების, ძველი არქიტექტურისა და ისტორიული ადგილების, ჩანჩქერების, საპიკნიკე-საკარვე ადგილების, საოჯახო სასტუმრო სახლების შესწავლა, დასურათება და ტურისტულ რუკებზე დატანა. მათ შორის მოხდება სოფლების ერთმანეთთან დამაკავშირებელი ბილიკების მარკირება.

ქობულეთის ტურისტული პოტენციალის დეტალური კვლევა, ტურისტულად საინტერესო ადგილების ინვენტარიზაცია და ქუბულეთის ტერიტორიაზე შესაძლო ტურისტული ბილიკების მარკირების პროექტების მომზადება მიმდინარეობს.

გოდერძი-ხიხანი-ჩირუხის ახალი ალპური სათავგადასავლო მარშრუტის განვითარება მიმდინარეობს. ეს მარშრუტი ავტომატურად დააკავშირებს შუახევის და ხულოს სხვა ტურისტულ მარშრუტებს ერთმანეთთან და მთიან აჭარაში ხანგრძლივი მოგზაურობის საინტერესო და მრავალფეროვან მიმართულებას შექმნის.

- შეიქმნა ახალი „ხულო-თაგო-სხალთის საფეხმავლო ტურისტული მარშრუტი“ (მოინიშნა საოჯახო სასტუმრო სახლები, ტურისტული ობიექტები და სრულად დამონტაჟდა მანიშნებლები).

მაღალმთიანი აჭარის ტურისტული პროდუქტების განვითარების საინფორმაციო და ბლოგის ტიპის ვებგვერდი შეიქმნა, რაც ადგილობრივი ტურისტული სერვისების მიმწოდებლებს საჭირო ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას აძლევს.

ბლოგის ტიპის გვერდის მიზანია მაღალმთიანი აჭარის ტურისტული მარშრუტების თავმოყრა ერთიან პლათფორმაზე და ტურისტებისათვის აჭარის მთებში მოგზაურობის გამარტივება.

2018 წელს სააგენტოს ორგანიზებით სხვადასხვა ღონისძიებები და ფესტივალები ჩატარდა:

- ზაფხულის ფესტივალი- საზღვაო სეზონის გახსნა
- სოფლის ტურიზმის თემატიკის საერთაშორისო კონფერენცია
- გადამფრენ ფრინველებზე დაკვირვების ფესტივალი
- სოფლის ტურიზმის ფესტივალი „განდაგანა ‘’

ვიზიტორთა სტატისტიკა ტურისტულ მარშრუტებზე მუნიციპალიტეტების მიხედვით- 2018 წელი

ქედის მუნიციპალიტეტი

ქედის ტურისტულ მარშრუტებს 11 %-ით მეტი ვიზიტორი ეწვია და 69 298 შეადგინა.

შუახევის მუნიციპალიტეტი

შუახევის ტურისტულ მარშრუტებს 26%-ით მეტი ვიზიტორი ეწვია და 10 206 შეადგინა.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი

ხელვაჩაურის ტურისტულ მარშრუტებს 112%-ით მეტი ვიზიტორი ეწვია და 27157 შეადგინა.

ხულოს მუნიციპალიტეტი

ხულოს ტურისტულ მარშრუტებს 30%-ით მეტი ვიზიტორი ეწვია და 33 115 შეადგინა.

ქობულეთის მუნიციპალიტეტი

ქობულეთის ტურისტულ მარშრუტებს 37%-ით მეტი ვიზიტორი ეწვია და 104 702 შეადგინა.

ბათუმის ბულვარი

დაწყებულია ბულვარის კონსერვაციისა და განვითარების კონცეფციაზე მუშაობა.

დაწყებულია „ლურჯი დროშის“ პროექტში ჩართვის საჭირო პროცედურები.

ბულვარში, პარკსა და სკვერში უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ელექტროტრანსპორტით გადაადგილების წესი ამოქმედდა.

გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ბულვარის საპლაჟო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით.

2019 წელს ბათუმის ბულვარის სანაპირო ზოლი შშმ პირთათვის ადაპტირებული იქნება. ადაპტირებული ინფრასტრუქტურული პროექტის ფარგლებში, შესაბამისი ინფრასტრუქტურა მოეწყობა.

ახალ ბულვარში ბავშვთა გასართობი მოედანი სრულად განახლდება. ასევე მოხდება ზოოკუთხის რეკონსტუქცია და ფრინველების ახალი აუზის მოწყობა.

ინფრასტრუქტურული განვითარება

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია

ბოლო ერთი წლის განმავლობაში:

- 43 მიმართულებით 82,414 კმ. სიგრძის საავტომობილო გზაზე ასფალტობეტონის საფარი მოეწყო;
- აშენდა 22 ახალი ხიდი და 317 ხელოვნური ნაგებობა;
- რეკონსტრუქცია ჩაუტარდა 60,43 კმ. სიგრძის სამელიორაციო არხს;
- მოეწყო 141,6 კმ. სიგრძის ბეტონის საფარი.

2019 წელს დაგეგმილია:

- 53,516 კმ. სიგრძის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია და ასფალტობეტონის საფარის მოწყობა;
- 264 ერთეული ხელოვნური ნაგებობის მშენებლობა;
- 114 კმ. სიგრძის საავტომობილო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა;

ჯანდაცვა და სოციალური პოლიტიკა

აჭარაში ჯანდაცვის სფეროს დაფინანსება მნიშვნელოვნად გაიზარდა. ბიუჯეტის ზრდასთან ერთად გაიზარდა ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და დასაქმების პროგრამები. დღეისათვის პროგრამების რაოდენობა 33-ია, ხოლო მომავალი წლისათვის კიდევ 5 ახალი პროგრამის დამატება იგეგემება.

მიზნობრივი ჯგუფებისათვის გაუმჯობესდა სამედიცინო მომსახურების ფინანსური ხელმისაწვდომობა, სიახლეები დაინერგა სოციალური დაცვის სფეროში, შეიქმნა ახალი პროგრამები და ქვეპროგრამები, შეიცვალა დაფინანსების მეთოდოლოგია, კერძოდ, შემცირდა თანაგადახდა პაციენტის სასარგებლოდ.

მნიშვნელოვანი პროგრამული სიახლეები:

- ონკოლოგიურ პაციენტთა ძვირადღირებული მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსება;
- ძვირადღირებული კარდიოქირურგიული ოპერაციების დაფინანსება;
- ღვიძლისა და ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის ოპერაციების დაფინანსება;
- მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევების დაფინანსება;
- გაორმაგდა შშმ პირთათვის გათვალისწინებული სერვისების დაფინანსება;
- დაიწყო ინფექციურ დაავადებათა ინტეგრირებული სკრინინგი;
- პირველადი ჯანდაცვის ცენტრები აღიჭურვა ავტომანქანებით, გაზარდა სოფლის ექიმებისა და ექთნების ანაზღაურება.
- მოქალაქეთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით ხორციელდება კვალიფიკაციის ამაღლების არაერთი პროგრამა.

ბოლო 1 წლის განმავლობაში აჭარის მოსახლეობას ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიმარულებით მიეწოდა 53 880 სახის სხვადსხვა სერვისი. კერძოდ:

- ჯანმრთელობის დაცვის 12 201;
- სოციალური დაცვის 3 139;
- დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკის მიზნით 38 539 მოქალაქეს ჩაუტარდა სკრინინგი.

დასაქმების სააგენტოს ხელშეწყობით სხვადსხვა პოზიციაზე დასაქმდა 1612 მოქალაქე.

<u>ეკომიგრაცია:</u>

აჭარის მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ეკომიგრანტი ოჯახების დახმარება. ამ მიზნით სამინისტროში შეიქმნა სპეციალური პროგრამა, რომლის საშუალებით, ბოლო 1 წლის მანძილზე თანადაფინანსებით საცხოვრებელი ფართი შეიძინა **93**-მა ეკომიგრანტმა ოჯახმა, დაიხარჯა **2,325,000** ლარი.

აჭარის ა/რ მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, სტიქიისა და ხანძრის შედეგად დაზარლებეულ 456 ოჯახზე გაიცა ფინანსური დახმარება 852 179 ლარის ოდენობით.

საცხოვრებელი ფართები უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცა 219 ეკომიგრანტ ოჯახს.

ქვეყნის მასშტაბით სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სახელმწიფო და ადგილობრივი პროგრამები ხორციელდება, რომლითაც დაცულია ადამიანების უფლება.

2019-2020 წლების ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის პრიორიტეტები

სოციალურად დაუცველი ფენები, დაავადების მაღალი რისკის ჯგუფები, ამბულატორიული და მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევები, სახსრების ენდოპროტეზირება, მოსახლეობის საზღვარგარეთ მკურნალობა, ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტთა დამატებითი სამედიცინო მომსახურება, მოქალაქეთა კარდიოქირურგიული დამატებითი სამედიცინო მომსახურება, მოზრდილთა რეაბილიტაციასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისგან დაცვა, სოფლის მოსახლეობისთვის უწყვეტი სამედიცინო დახმარების მიწოდება.

2019 წელს გაიზარდა ღვიძლის ტრანსპლანტაციის დაფინანსება 15 000 ლარით და 65 000 ლარი შეადგინა. პირველად განხორციელდა ძვირადღირებული ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების ტრანსპლანტაციის დაფინანსება (აუტოლოგიური ტრანპლანტაცია 80 000 ლარი, ალოგენური ტრანპლანტაცია 130 000 ლარი). სულ ტრანსპლანტაცია 15 პაციენტს

დაუფინანსდება. გაფანტული სკლეროზით დაავადებულ 10 პაციენტს ძვირადღირებული მაღალეფექტური მედიკამენტოზური მკურნალობა დაუფინანსდებათ (ყოველ პაციენტს წლის განმავლობაში 25 000 ლარი).

პროგრამის ფარგლებში ბოლო ერთი წლის განმავლობაში სულ 2402 ვაუჩერი გაიცა, რაც 2 467 242 ლარს შეადგენს.

გულის ქირურგიის დამატებითი სამედიცინო მომსახურება. მოსახლეობის დამატებით კარდიოქირურგიულ მომსახურეობაზე (სამედიცინო მომსახურება, რომელიც არ ფინანსირდება სახელმწიფო ბიუჯეტით) ფინანსური ხელმისაწვდომობისა და საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით დაფინანსებული კარდიოქირურგიული ოპერაციების თანაგადახდის პროგრამა მიმდინარეობს.

ბოლო ერთი წლის განმავლობაში სულ 1352 პაციენტს გაეწია მომსახურება, რაც 1 503 820 ლარს შეადგენს.

მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური კატეგორიისათვის **სახსრების ენდოპროთეზირების** (გადაგვარებული ან დაზიანებული სახსრის ჩანაცვლება ხელოვნური იმპლანტით) ჩატარებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის პროგრამა მიმდინარეობს. ბოლო ერთი წლის განმავლობაში 128 ვაუჩერი გაიცა, რაც 546 575 ლარს შეადგენს.

სოციალურად დაუცველი და სხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობისათვის **მაღალტექნოლოგიურ დიაგნოსტიკურ კვლევებზე** ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის პროგრამა მიმდინარეობს. ბოლო 1 წლის განმავლობაში 2836 ვაუჩერი გაიცა, რაც 977 356 ლარს შეადგენს.

ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტთათვის დამატებით სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის პროგრამა მიმდინარეობს.

2019 წლიდან **ტარგეტული, იმუნოთერაპიული და ბისფოსფონატების** ჯგუფის მედიკამენტების დაფინანსების წლიური ლიმიტი 5000 ლარიდან 15 000 ლარამდე გაიზარდა. კიდევ უფრო ხელმისაწვდომი გახდა ძუძუს კიბოთი დაავადებულ პაციენტთა მკურნალობის დაფინასება. პაციენტებს სიცოცხლის შესანარჩუნებლად სრულად უფინანსდებათ საჭირო ძვირადღირებული ტარგენტული მედიკამენტების ღირებულება. ბოლო ერთი წლის განმავლობაში 4024 ვაუჩერი გაიცა, რაც 2 768 466 ლარს შეადგენს.

ზოგიერთი **სოციალური კატეგორიის მოსახლეებისათვის** საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის გეგმიური სტაციონარული სამედიცინო მომსახურების, თანაგადახდის სრულად დაფინანსების პროგრამა მიმდინარეობს.

2019 წლიდან ფინანსდება ასევე ძვირადღირებული (რომელთა ღირებულება სახელმწიფო პროგრამით დამტკიცებული ტარიფით აღემატება წლიურ ლიმიტს -15000 ლარს) **ქირურგიული ოპერაციული მკურნალობის** თანაგადახდის პროგრამა. ბოლო 1 წლის განმავლობაში 625 ვაუჩერი გაიცა, რაც 306 060 ლარს შეადგენს.

მოზრდილი მოსახლეობის (18 წლის ზემოთ) ნებისმიერი ორგანული სისტემის დაავადებით ან დაზიანებით განპირობებული უუნარობის ფუნქციის აღდგენა და შესაბამისად ცხოვრების ხარისხის ამაღლების პროგრამა მიმდინარეობს. ბოლო 1 წლის განმავლობაში 715 ვაუჩერი გაიცა, რაც 762 893 ლარს შეადგენს.

საზღვარგარეთ მკურნალობასთან დაკავშირებული მოსახლეობის ფინანსური რისკებისგან დაცვის პროგრამა მიმდინარეობს. ბენეფიციარებს სხვადასხვა დაავადებების მქონე პირები წარმოადგენენ, რომელთა აუცილებელი სამედიცინო მომსახურება საქართველოს სამკურნალო დაწესებულებებში ვერ ხერხდება (სპეციალისტი/ექსპერტის დასკვნის შესაბამისად) და ნაწილობრივ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამით „მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში" არის დაფინანსებული.

2019 წლიდან მკურნალობის თანაგადახდის ტარიფი 15 000-დან 25 000 ლარამდე გაიზარდა. ბოლო 1 წლის განმავლობაშო 19 პაციენტი დაფინანსდა და 261 115 ლარი შეადგინა.

ბავშვებში ტყვიის ტოქსიური ზემოქმედების მართვის ხელშეწყობის პროგრამა მიმდინარეობს, რაც ტყვიის მომატებული კონცენტრაციის მქონე სხვადასხვა სოციალური კატეგორიის ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნებისა და გართულებების თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელი ძირითადი საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფას ითვალისწინებს. საკვები პროდუქტების ვაუჩერი იმ ბავშვებს გადაეცემათ, რომელთა ორგანიზმში ტყვიის შემცველობა 10 მკგ/დლ-ს აღემატება და სხვადასხვა სოციალურ კატეგორიას წარმოადგენენ. პროგრამით ასევე გრძელვადიანი სტრატეგიის 2019 წლის ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გამოკვლეული,სოციალური კატეგორიის გათვალისწინებით, 18 წლამდე ასაკის ბავშვები დაფინანსდებიან (მაღალი მაჩვენებლების მქონე). პროგრამის ბიუჯეტი 99 000 ლარი.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა

სასზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებით სხვადასხვა მნიშვნელოვანი პროგრამა ხორციელდება. აღნიშნული მიმართულებით საქმიანობის მიზანია: რეგიონში ეპიდემიოლოგიურად კეთილსაიმედო გარემოს უზრუნველყოფა, მოსახლეობის

ჯანმრთელობის დაცვა და გაუმჯობესება გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საფრთხეებისადმი მზადყოფნისა და დროული რეაგირების გზით; ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა, მოსახლეობის ცნობიერების დონის გაზრდა და ჩართულობა; დაავადებათა ადრეული გამოვლენა და დიაგნოსტიკა, არაგადამდებ დაავადებებთან დაკავშირებული ავადობითა და უნარშეზღუდულობით გამოწვეული მართვადი ტვირთის შემცირება, სამედიცინო დიაგნოსტიკურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მუნიციპალურ დონეზე.

ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებებია:

- მენჯ-ბარძაყის სახსრის დიპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის ადრეული დიაგნოსტიკა და მედიკამენტოზური პროფილაქტიკა 0-1 წლამდე ასაკის ბავშვებში, მუნიციპალიტეტების პირველადი ჯანდაცვის ცენტრების დონეზე;
- ბრონქული ასთმის დიაგნოსტიკა სამიზნე ჯგუფში;
- ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიათა ადრეული გამოვლენა და დიაგნოსტიკა რეგიონის ტერიტორიაზე ანტენატალურ კომპონენტის მიმწოდებელ სამედიცინო დაწესებულებებში რეგისტრირებულ ორსულებში;
- C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დიაგნოსტიკის თანადაფინანსება;
- C ჰეპატიტის, აივ ინფექცია შიდსის და ტუბერკულოზის ინტეგრირებული სკრინინგი დაავადებათა დროული გამოვლენის მიზნით;
- ახალშობილებში სმენის თანდაყოლილი პათოლოგიების მეორეული დიაგნოსტიკა და დროული მართვის ხელშეწყობა;
- აუტიზმის დროული გამოვლენის ხელშეწყობა სამიზნე ჯგუფში;
- სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების გამოვლენისა და შემდგომი მართვის ხელშეწყობა რისკ-ჯგუფებში (2020 წლიდან დაგეგმილი).

ბოლო 1 წლის განმავლობაში გადამდებ დაავადებათა 1529 შემთხვევის ეპიდკვლევა, 4795 მსმენელისათვის 197 საინფორმაციო/საგანმანათლებლო შეხვედრა ჩატარდა.

პროექტის „აჭარის რეგიონში ნულოვანი ტუბერკულოზის ინიციატივა“ ფარგლებში ტუბერკულოზის, აივ/შიდსისა და C ჰეპატიტის სკრინინგი 6438 პირს ჩაუტარდა;

„დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკა“ ქვეპროგრამის ფარგლებში 359 305,49 ლარის მომსახურება განხორციელდა.

2019 წლიდან ამოქმედდა:

- „აუტიზმის დიაგნოსტიკა სამიზნე ჯგუფში“. ბენეფიციარი-რეგიონის 2-7 წლის ასაკის 120 ბავშვი.

- „C ჰეპატიტის, ტუბერკულოზის, აივ ინფექციის აქტიური გამოვლენის ხელშეწყობა“, ბენეფიციარი 40 000.

მოსახლეობის სოციალური დაცვა

ქვეყანაში მოქმედებს სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამა, რომლის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა (მათ შორის ბავშვთა), ხანდაზმულთა, ოჯახურ მზუნველობას მოკლებულ, სოციალურად დაუცველ, მიუსაფარ და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია.

გამოიყოფა მოსახლეობის გარკვეული კატეგორიები, რომელთა სომატურ/ფსიქიკური ჯანმრთელობა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან დამატებით მხარდაჭრას, უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას, მათთვის თანაბარი შესაძლებლობების პირობების შექმნას.

სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაცია

18 წლამდე ასაკის ბავშვთა სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის ღონისძიებების განხორციელება. მიმდინარე პერიოდში 2 102-მა ბენეფიციარმა ისარგებლა სამედიცინო სერვისის სხვადასხვა კომპონენტით, დახარჯულმა თანხამ 1 316 317 ლარი შეადგინა, კერძოდ:

ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია/რეაბილიტაცია – ბავშვთა ცერებრალური დამბლის, ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემის, კუნთების სხვადასხვა დაავადებების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის კურსების დაფინანსება. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაფინანსდა 1467 ბენეფიციარი, თანხა - 802 341 ლარი. მიმდინარე წელს იზრდება კომპონენტით განსაზღვრულ მოსარგებლეთა რაოდენობა 80 ბენეფიციარით (74 560 ლარით). 2020 წელს ქვეპროგრამის ბიუჯეტი იგეგმება 1 980 000 ლარით და მის ფარგლებში 750 ბენეფიციარს გაეწევა მომსახურება.

ბავშვთა ადრეული განვითარება – გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვების განვითარების სტიმულირება და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მომსახურება გაეწია 507 ბენეფიციარს, თანხა 335

034 ლარი. მიმდინარე წლის ბიუჯეტის ცვლილებისას მომართვიანობით გათვალისწინებით კომპონენტი 40 ბენეფიციარით იზრდება (40 320 ლარით). 2020 წლისათვის იზრდება ბიუჯეტი 547 200 ლარამდე და მის ფარგლებში მომსახურება გაეწევა 300 ბენეფიციარს.

შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა სოციალური ადაპტაცია – შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვების სამედიცინო მეთვალყურეობა, მათ საჭიროებებზე მორგებული სწავლება, მათი ფსიქოლოგიური დახმარება, სადღეღამისო მომსახურება კვებით, სოციალური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება. დაფინანსებულია 46 ბენეფიციარი, თანხა 20 700 ლარი.

აუტიზმის სპექტრის დარღვევების მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია – აუტიზმის სპექტრის დარღვევების მქონე 2-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვების რეაბილიტაციის კურსების დაფინანსება. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაფინანსდა 64 ბენეფიციარი, თანხა 67 000 ლარი. 2020 წლისათვის იგეგმება ბენეფიციართა ასაკის ზედა ზღვარის ცვლილება 18 წლის ასაკმადე, ნაცვლად 15 წლისა.

მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია – მენჯ-ბარძაყის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის მქონე 1 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის რეაბილიტაციის კურსების მიწოდება.

- მუნიციპალიტეტებში რეგისტრირებულ წლამდე ასაკის 15 ბენეფიციარს გაეწია მომსახურება, თანხა 2 400 ლარი.
- 2020 წლისათვის იგეგმება ასაკობრივი ზედა ზღვარის ცვლილება 2 წლამდე ასაკამდე. ბიუჯეტი იგეგმება 48000 ლარით და მომსახურება გაეწევა 150 ბენეფიციარს.

სმენაპროთეზირებულ ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაცია - სხვადასხვა ხარისხის სმენადაქვეითებული სმენაპროთეზირებული (კოხლეარული იმპლანტი, სმენის აპარატი) ბავშვების უზრუნველყოფა მათ საჭიროებებზე მორგებული სარეაბილიტაციო მომსახურების კურსებით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაფინანსდა 3 ბენეფიციარი, თანხა 930 ლარი.

მოსახლეობის გარკვეული სოციალური კატეგორიების ერთჯერადი მატერიალური დახმარება. 1 ივნისის მდგომარეობით პროგრამით გათვალისწინებული დახმარებით სულ ისარგებლა -153-მა ბენეფიციარმა, დაიხარჯა 275 000 ლარი, კერძოდ:

100 წელს გადაცილებული მოქალაქეების ერთჯერადი მატერიალური დახმარება – 100 წელს გადაცილებული მოქალაქეებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების (1000 ლარი) გაცემა. საანგარიშო პერიოდისათვის დახმარება გაეწია 35 ბენეფიციარს, თანხა 35 000 ლარი.

ახალშობილი ტყუპების ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება – ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა იმ ოჯახებზე, სადაც დაიბადება ტყუპი – 2 ბავშვი 2000 ლარი, 3 ბავშვი – 3000 ლარი, 4 ბავშვი – 4000 ლარი (ტყუპისცალზე -1000 ლარი) და ა.შ. საანგარიშო პერიოდისათვის დახმარება გაეწია 72 ოჯახს, თანხა 148 000 ლარი.

2008 წლის რუსული აგრესიის შედეგად და 2012 წელს ავღანეთში დაღუპულ მეომართა ოჯახების დახმარება - 2008 წლის აგვისტოს თვეში განვითარებული საომარი მოქმედებების შედეგად დაღუპული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე რეგისტრირებული სამხედრო მოსამსახურის, ასევე 2012 წელს ავღანეთში საერთაშორისო სამხედრო ოპერაციის შესრულების დროს დაღუპული მეომრის ოჯახზე მატერიალური დახმარების გაწევა – დედისა და ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მატერიალური დახმარება გაეწევა დაღუპული მეომრების დედებსა და მეუღლეებს თითოეულს 1000 ლარის ოდენობით. დღეისათვის 23 ბენეფიციარი დაფინანსდა ჯამურად 23 000 ლარით.

2008 წლის რუსული აგრესიის დროს დაღუპულ, დაზიანების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და 2012 წელს ავღანეთში დაღუპულ მეომართა ოჯახების დახმარება – 2008 წლის აგვისტოს თვეში განვითარებული საომარი მოქმედებების შედეგად დაღუპული სამხედრო მოსამსახურის, მიღებული დაზიანებების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მეომრების, ასევე 2012 წელს ავღანეთში საერთაშორისო სამხედრო ოპერაციის შესრულების დროს დაღუპული მეომრის ოჯახებზე მატერიალური დახმარების გაწევა – აგვისტოს თვეში ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწევა მეომრის ოჯახებს – თითოეულს 3000 ლარის ოდენობით. 23 მეომრის ოჯახმა ჯამურად მიიღო 69 000 ლარი.

შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირთა და ხანდაზმულთა უზრუნველყოფა დამხმარე საშუალებებით. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა, მოზრდილთა და ხანდაზმულ პირთა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა. 1 ივნისის მდგომარეობით პროგრამით გათვალისწინებული სერვისით სულ ისარგებლა 727-მა ბენეფიციარმა, დაიხარჯა 372 039 ლარი, მათ შორის:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფა - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირებზე სავარძელ-ეტლების გაცემა, მორგება, გამოყენებასთან დაკავშირებული სარეკომენდაციო-საკონსულტაციო და ტექნიკური მომსახურების გაწევა, საგარანტიო მომსახურება. 203 ბენეფიციარის უზრუნველსაყოფად დაიხარჯა 109 450 ლარი. 2019 წლის ბიუჯეტის კორექტირებისას ელექტრო სავარძელ-ეტლების რაოდენობა გაიზარდა 10 ერთეულით მოსახლეობის საჭიროების გათვალისწინებით.

სმენადაქვეითებულ მოქალაქეთა სმენის აპარატებით უზრუნველყოფა - სმენადაქვეითებულ პირებზე სმენის აპარატების გაცემა, მორგება, გამოყენებასთან დაკავშირებული სარეკომენდაციო - საკონსულტაციო და ტექნიკური მომსახურების გაწევა, საგარანტიო მომსახურება. 388 მოქალაქე უზრუნველყოფილი იქნა აღნიშნულით, დაიხარჯა 111 849 ლარი.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა სხვა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა – შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე (მათ შორის ბავშვები, ხანგრძლივად მწოლიარე ნევროლოგიური და ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე პირები) და ხანდაზმულ პირთა მოვლისა და რეაბილიტაციის საშუალებებით უზრუნველყოფა. საანგარიშო პერიოდისათვის გაიცა 136 ვაუჩერი, თანხა 150 740 ლარი. 2019 წლის ბიუჯეტის კორექტირებისას აღნიშნული კომპონენტის ბიუჯეტი გაიზარდა 232 000 ლარით ბენეფიციართა მაღალი მომართვიანობის გათვალისწინებით.

მოსახლეობის გარკვეული კატეგორიების თავშესაფრით უზრუნველყოფა

დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფა – სხვადასხვა პრობლემების მქონე (მარტოხელა, მიუსაფარი, ძალადობაგანცდილი) დედათა და ბავშვთა თავშესაფრით, კვებით, პირადი ჰიგიენის ნივთებით უზრუნველყოფა, მათი ფსიქოლოგიური დახმარება, სოციალური უნარ-ჩვევების სწავლება; საანგარიშო პერიოდისათვის ქვეპროგრამით სარგებლობს 26 ბენეფიციარი, თანხა - 130 747 ლარი.

ფსიქიკური პრობლემების მქონე გერიატრიული პაციენტების თავშესაფრით უზრუნველყოფა - ფსიქიკური პრობლემების მქონე გერიატრიული პაციენტების თავშესაფრით, კვებით, პირადი ჰიგიენის ნივთებით უზრუნველყოფა, რეაბილიტაცია, მათი და ოჯახის წევრების ფსიქოლოგიური დახმარება. საანგარიშო პერიოდისათვის ქვეპროგრამით სარგებლობს 131 ბენეფიციარი, თანხა - 414 775 ლარი.

მუყაოს ქალაქი

აჭარის მთავრობის მიერ მიღებულ იქნა უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება, რომელიც შეცვლის ათასობით ადამიანის რეალობას და ე.წ. მუყაოს ქალაქში მცხოვრებ ადამიანებს შეუქმნის ცხოვრების ღირსეულ პირობებს. მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, ეკოლოგიისა და უსაფრთხოების პრინციპების გათვალისწინებით და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით აჭარის მთავრობის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება და მიმდინარეობს მასშტაბური სოციალური პროექტი.

წლების განმავლობაში უკიდურეს გაჭირვებაში მცხოვრები მოსახლეობისთვის ეტაპობრივად მოხდება ბინების აშენება და გადაცემა.

გამოცხადებულია ტენდერი საპროექტო სამუშაოებზე, პარალელურად მიმდინარეობდა მოსახლეობის დეტალური შესწავლა. შევიდა ცვლილებები რესპუბლიკურ ბიუჯეტში.

ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფა

ამ ეტაპისთვის სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული (ეკომიგრანტების) ოჯახების ერთიან ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში დაახლოებით 380-მდე განაცხადია შესული, რომელთა დაზარალება დადასტურებულია შესაბამისი მუნიციპალიტეტების მერიების მიერ, ხოლო შესწავლასა და დაზარალების კატეგორიის მინიჭებას ითხოვს 190-მდე ბენეფიციარი. კატეგორიების სახელმწიფოს მიერ ასობით ეკომიგრანტ ოჯახთა დაკმაყოფილების მიუხედავად, სტიქიური კატაკლიზმების გახშირების გამო, მონაცემები ცვალებადია. სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ეკომიგრანტ ოჯახებს ესაჭიროება ფინანსური მხარდაჭერა უსაფრთხო გარემოში ადგილმონაცვლეობისათვის. პროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ ეკომიგრანტები, რომლებსაც შუამდგომლობს შესაბამისი თვითმმართველი ერთეულები, როგორც მათ ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახებს და რომლებიც 2010 წლის 1 იანვრიდან, შუამდგომლობის აღძვრამდე უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

,,ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში ბოლო 1 წლის განმავლობაში დაკმაყოფილდა 93 ოჯახი, რისთვისაც გამოიყო 2 325 000 ლარი (თითოეულს 25 000 – 25 000 ლარი). მათ შორის:

- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტიდან - 1;

- ქედის მუნიციპალიტეტიდან - 15;
- შუახევის მუნიციპალიტეტიდან - 41;
- ხულოს მუნიციპალიტეტიდან - 36 ოჯახი;

სტიქიისა და ხანძრის შედეგად დაზიანებული სახლების აღდგენა/რეაბილიტაცია/მშენებლობა - აღნიშნული პროგრამა, 2018 წლის 1 ივლისიდან დღემდე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან 852 179 ლარით დაფინანსდა, 456 ოჯახს გაეწია დახმარება.

ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია - 14 ოჯახი - 134 392 ლარი, აქედან: ხანძარი - 14 ოჯახი - 134 392 ლარი.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია - 105 ოჯახი - 94 941 ლარი, აქედან: ხანძარი - 5 ოჯახი - 38691 ლარი;

უხვი ატმოსფერული ნალექის მოსვლით მიყენებული ზარალი (დატბორვა) – 93 ოჯახი - 30700 ლარი; სახლის აღდგენა-გამაგრება - 7 ოჯახი - 25550 ლარი.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია - 8 ოჯახი - 77 779 ლარი, აქედან: ხანძარი - 7 ოჯახი - 65314 ლარი; სახლის აღდგენა-გამაგრება - 1 ოჯახი - 12465 ლარი.

ქედის მუნიციპალიტეტის მერია - 179 ოჯახი - 236 382 ლარი, აქედან: ხანძარი - 4 ოჯახი - 40 000 ლარი; სეტყვით მიყენებული ზარალი – 173 ოჯახი - 146382 ლარი;

სახლის გადატანა - 2 ოჯახი ალტერნატიულ მფლობელობაში არსებულ გეოლოგიურად მდგრად მიწის ნაკვეთზე - 50000 ლარი).

ხულოს მუნიციპალიტეტის მერია - 255 ოჯახი - 308 685 ლარი, აქედან: ხანძარი - 8 ოჯახი - 80000 ლარი; სახლის აღდგენა-გამაგრება – 22 ოჯახი - 141983 ლარი; სახლის გადატანა - 6 ოჯახი - 86702 ლარი; წაბლანის ტრაგედიის შედეგად დაზარალებულ 219 ოჯახს გადაეცა საცხოვრებელი ბინები.

მოსახლეობის სოციალური დაცვა - 2020 წლისთვის დაგეგმილი სიახლეები

კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარება - ბიუჯეტი 144 000 ლარი. პროგრამა ითვალისწინებს სიღატაკეში მყოფი ბავშვიანი ოჯახების პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილებას და ბავშვის მიტოვების რისკის შემცირებას.

პროექტი უზრუნველყოფს „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამაში მყისიერი ჩართვის შეფერხების შემთხვევაში, სამიზნე

ჯგუფისათვის (კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახი, რომელსაც ჰყავს 0-დან 1 წლამდე ასაკის ბავშვი) პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით, ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფას თვეში 80 ლარის ოდენობით.

ქვეპროგრამაში ჩართვის საფუძველს წარმოადგენს სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკის დასკვნა.

ბავშვის მოვლის საშუალებებით უზრუნველყოფა - ბიუჯეტი 180 000 ლარი. პროექტი უზრუნველყოფს სიღატაკეში მყოფი ბავშვიანი ოჯახების სოციალური მხარდაჭერის მიზნით, სამიზნე ჯგუფისათვის პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით, ბავშვის მოვლის საშუალებებით უზრუნველყოფას თვეში 60 ლარის ოდენობით.

სამიზნე ჯგუფი: სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში 0-დან 100 000-ის ტოლი სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული ოჯახი, რომელსაც ჰყავს 0-დან 1 წლამდე ასაკის ბავშვი.

მზრუნველობამოკლებულ სრულწლოვან (სახელმწიფო მზრუნველობის შეწყვეტის შემდეგ) პირთა დახმარება - ბიუჯეტი 58 560 ლარი (10 ბენეფიციარი). პროექტით გათვალისწინებულია სახელმწიფო მზრუნველობის შეწყვეტის შემდეგ მზრუნველობამოკლებულ სრულწლოვან პირთა სოციალური და მორალური მხარდაჭერა, რაც გულისხმობს „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ ქვეპროგრამების „მცირე საოჯახო ტიპის სახლები» და „მინდობით აღზრდა» სამიზნე ასაკის შესრულების შემდეგ (18 წელი), მზრუნველობამოკლებული 25 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის ოჯახურ გარემოსთან მიახლოებულ პირობებში აღზრდის უზრუნველყოფას.

განათლება, კულტურა და სპორტი

განათლების ქალაქი

ქვეყნის მასშტაბით ეფექტური განათლების პოლიტიკის შექმნის და მაღალი ხარისხის განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად უპრეცედენტო რეფორმა დაიწყო.

აჭარაში განათლების მიმართულებით ქვეყნის ეროვნული იდეის პოლიტიკა ეფექტურად ტარდება, რაც უზრუნველყოფს თანამედროვე სასწავლო დაწესებულებების შექმნას და ყველა ახალგაზრდისთვის ღირსეული განათლების მიღების შესაძლებლობას. აღნიშნული მიმართულებით აჭარაში უმნიშვნელოვანესი ნაბიჯები

გადაიდგა. რამდენიმე თვის წინ რეგიონში განათლების ქალაქის მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი, რითაც აჭარა მალე განათლებისა და მეცნიერების მნიშვნელოვანი კერა გახდება. განათლების ქალაქში ხარისხიანი განათლების მისაღების ყველა პირობას უზრუნველყოფს. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურა აღჭურვილი იქნება უახლესი ტექნიკით, თანამედროვე, საბუნებისმეტყველო და სამეცნიერო ლაბორატორიებით, ბიბლიოთეკით, სამეცნიერო მუზეუმი. განათლების ქალაქში კომაროვისა და ხელოვნების სკოლა განთავსდება. აღნიშნული ქალაქის მშენებლობის კონცეფცია ეფუძნება ისეთ მნიშვნელოვან ღირებულებებს, როგორიც არის ადამიანი და ადამიანის უფლებები, ინკლუზიური ეკონომიკა და რა თქმა უნდა განათლება.

პროექტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტურისტულად აქტიური ქალაქისთვის, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება მსოფლიო ტურიზმის ოსკარად წოდებულ დაჯილდოვებაზე, ნომინაციაში - ევროპის მზარდი ტურისტული დანიშნულება. გარდა ამისა ბათუმს უკვე აქვს ევროპის სპორტის ქალაქის სტატუსი.

განათლების ქალაქში სახელოვნებო სკოლის მშენებლობა იგეგმება, რაც წელს აჭარის ა.რ რეპუბლიკური ბიუჯეტით 84 000 ლარით ფინანსდება.

ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი

ჩვენი ქვეყნისა და რეგიონის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს განათლება, ახალგაზრდული სფეროს გაძლიერება და მისი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა წარმოადგენს. უკვე დამტკიცებულია უმაღლესი საბჭოს მიერ ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრის ცალკე სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბების შესახებ პროექტი, რაც ახალი სტრუქტურული ერთეული "ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი" შექმნას ითვალისწინებს. ცენტრი რეგიონის ახალგაზრდობის სფეროში არსებულ გამოწვევებს უპასუხებს და საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში ახალგაზრდების ჩართულობის ზრდას უზრუნველყოფს. არაფორმალური განათლება, ახალგაზრდული ეკონომიკის გაძლიერება, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, გასართობ-შემეცნებითი და კულტურული მიმართულებების მხარდაჭერა, მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა და მათ შორის ეფექტური კომუნიკაციის დამყარება, სწორედ ეს წარმოადგენს ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრის ძირითად სტრატეგიულ ამოცანებს.

2019 წლის ახალგაზრდული ცენტრის ბიუჯეტი განისაზღვრა 1 77 4 18 ლარი. ცენტრი განახორციელებს 5 პროგრამას.

არაფორმალური განათლებისა და თავისუფალი დროის სწორად მართვის ხელშეწყობის პროგრამა. მიზანი მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა და მათ შორის ეფექტური კომუნიკაციის დამყარება, ჯანსაღი ცხოვრების წესის

პროპაგანდა, პატრიოტული სულისკვეთების ამაღლება, ქვეყნის რეკრეაციული ლოკაციების გაცნობა/პოპულარიზაცია, არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, ახალგაზრდებისთვის თავისუფალი დროის სწორად მართვის ხელშეწყობა, გართობისა და დასვენებისთვის არაფორმალური გარემოს შექმნა, აქტიური ცხოვრების წესის პოპულარიზაცია.

ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლება და მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამა. მიზანი ახალგაზრდების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა, ახალგაზრდებში მოტივაციის ამაღლება, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და კავშირების დამყარება ახალგაზრდული მიმართულებით მომუშავე როგორც სამთავრობო, აგრეთვე არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ახალგაზრდებში ცნობიერებისა და სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება, მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობა, კულტურული ღირებულებების გაცვლა.

კარიერული განვითარებისა და ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერს პროგრამა. მიზანი საერთაშორისო გამოცდილების მიღება, ახალგაზრდების გადამზადება, სხვადასხვა პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება, სამუშაო გამოცდილების მიღება, პროექტების წერისა და საგრანტო პროექტების მოძიების სწავლება, მცირე სამეწარმეო ინიციატივების მხარდაჭერა, კვალიფიკაციის ამაღლება და ახალგაზრდების წახალისება.

ახალგაზრდობის ინტელექტუალურ-კულტურული განვითარების მხარდაჭერის პროგრამა. მიზანი განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების გამოვლენა, მათი საქმიანობისა და კარიერული განვითარების ხელშეწყობა, კულტურისა და ხელოვნების პროპაგანდა ახალგაზრდებში, ახალგაზრდების მასიური გააქტიურება, ფიზიკური თუ გონებრივი შესაძლებლობების გამოვლენა, გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევების გაღრმავება, სადისკუსიო ტექნიკის დახვეწა.

სტრატეგიული დაგეგმარებისა და ეფექტური კომუნიკაციის ხელშეწყობის პროგრამა. მიზანი ახალგაზრდული რესურსის ერთიანი ბაზის შექმნა, ახალგაზრდებთან ეფექტური კომუნიკაცია, მუნიციპალიტეტების ახალგაზრდებს შორის ურთიერთობების გამყარება, სერვისებს და ინფორმაციებზე გამარტივებული წვდომა, აქტიური ახალგაზრდების გამოვლენა, ახალგაზრდობის საჭიროებების გამოვლენა და შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება.

საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა

აჭარაში განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარების ხელშეწყობის ფარგლებში საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება მიმდინარეობს. ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელშეწყობის მიზნით ტარდება კონკურსები და ოლიმპიადები, ფინანსდება სტუდენტების განათლება, მიმდინარეობს სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება, ტარდება კულტურული და სპორტული ღონისძიებები, რაც რეგიონში კულტურული და ჯანსაღი ცხოვრების ხელშეწყობას და გაუმჯობესებას ითვალისწინებს.

განსაკუთრებული ყურადღება საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და ინვენტარით აღჭურვას ეთმობა.

განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ინვენტარით აღჭურვა და სკოლის საბიბლიოთეკო ფონდის განახლება, რაც დღემდე ეტაპობრივად ხორციელდება, რაც ხელს უწყობს სამუშაო და სასწავლო პირობების გაუმჯობესებას, უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნას ზოგადი განათლების მიღებასა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხის ამაღლებას.

2019 წელს განხორციელდება: 10 საჯარო სკოლის მშენებლობა, 15 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია/რემონტი, 49 საჯარო სკოლის სამშენებლო-სარეაბილიტაციო და 20 საჯარო სკოლის ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა.

დაწყებულია 3 საჯარო სკოლის მშენებლობა, გამოცხადებულია 5 საჯარო სკოლის მშენებლობის ტენდერი. მიმდინარეობს 5 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია, ხელშეკრულება გაფორმებულია ორი საჯარო სკოლის რეაბილიტაციის დაწყებაზე და ტენდერი გამოცხადებულია 3 საჯარო სკოლის რეაბილიტაციის სამუშაოების შესასრულებლად. პროგრამის ბიუჯეტია 7 467 340 ლარი.

დასრულდა ტენდერი 15 საჯარო სკოლისთვის თანამედროვე ინდივიდუალური მერხებისა და სკამების შესაძენად, მოსწავლეთა ასაკობრივი და ფიზიკური თავისებურებების გათვალისწინებით. პროგრამის ბიუჯეტია 668 00 ლარი.

2018 წელს საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა: 4 საჯარო სკოლის მშენებლობა, 20 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია, 11 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა, რისთვისაც ბიუჯეტიდან დაიხარჯა 6 671 900 ლარი.

საჯარო სკოლების მატერიალური ბაზის გაუმჯობესების მიზნით 2018 წელს 8 საჯარო სკოლა აღიჭურვა თანამედროვე ინვენტარით, 6 საჯარო სკოლას გადაეცა ლაბორატორიის კომპლექტი, 15 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკა განახლდა თანამედროვე მხატვრული ლიტერატურით, რისთვისაც ბიუჯეტიდან დაიხარჯა 278,6 ათასი ლარი.

2019 წელს რეგიონში განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით გამოყოფილია 2 246 500 ლარი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების: ქედის, შუახევისა და ხულოს საჯარო სკოლებისათვის კონკურსის წესით შეირჩა და დასაქმდა 30 მასწავლებელი ვაკანტურ პოზიციებზე. პედაგოგებს პროგრამის ფარგლებში ეძლევათ

დამატებით ყოველთიური ანაზღაურება 1000 ლარი. აღნიშნული პროგრამა წარმატებით განხორციელდა 2018 წელსაც.

მიმდინარე წელს განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით სტუდენტთა დახმარების პროგრამით გამოყოფილია 957 000 ლარი. სულ წლის განმავლობაში სწავლა დაუფინანსდება 900 სტუდენტს. ამ დროისთვის სწავლა დაუფინანსდა 457 ბაკალავრისა და მაგისტრის საფეხურის სტუდენტს. აღნიშნული პროგრამით 2018 წელს რეგიონის 899 სტუდენტს დაუფინანსდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა.

ხორციელდება პროგრამა - სწავლა საზღვარგარეთ. ბიუჯეტი - 682 500 ლარი

სტუდენტებზე, რომლებიც სწავლობენ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, შვეიცარიასა და ნორვეგიაში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ასევე პირს, რომელიც ჩაირიცხება პოსტ საბაკალავრო/პოსტ სამაგისტრო სახელოვნებო პროგრამაზე საშუალოდ 54 დაფინანსება გაიცემა საზღვარგარეთ სწავლის მიზნით. **ამ დროისთვის დაფინანსდა 26 სტუდენტი.**

2018 წელს აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 40 ბენეფიციარს საზღვარგარეთ სწავლა დაუფინანსდა. სულ პროგრამის ფარგლებში გაიხარჯა 489 200 ლარი.

მიმდინარე წელს კვლავ ამოქმედდა სტაჟირების პროგრამა. 18-დან 32 წლამდე ასაკის საქართველოს 3 მოქალაქე სტაჟირებას გაივლის ევროპაში და აჭარაში მიღებული იქნება არაუმეტეს 1 უცხოელი სტაჟიორი.

2019 წელს რეგიონში უმაღლესი განათლების ხელშეწყობის მიზნით დაფინანსდება საშუალოდ 10 ბენეფიციარის მონაწილეობა სამეცნიერო ღონისძიებაში და ჩატარდება საშუალოდ 5 საჯარო ლექცია, მოეწყობა საშუალოდ 2 კონფერენცია, საშუალოდ 3 სეზონური სკოლა, ითარგმნება საშუალოდ 2 უცხოენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა, განხორციელდება საშუალოდ 3 დაფინასების გაცემა კვალიფიკაციის ამაღლების/სტაჟირების მიზნით. პროგრამის ბიუჯეტი 237 000 ლარი.

2018 წელს დაფინანსდა აღნიშნილი პროგრამით საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა/ღონისძიებების ორგანიზება. კერძოდ, ჩატარდა 5 საჯარო ლექცია, დაფინანსდა 5 სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობა, 2 კონფერენციის მოწყობა, 2 სეზონური სკოლა და 4 უცხოენოვანი სამეცნიერო/სახელმძღვანელო ლიტერატურის თარგმნა და ბეჭდვა.

2019 წლის განათლების ხარისხის გაუმჯობესების პროგრამის - ბიუჯეტია 464 000 ლარი. პროგრამის მიზანია განათლების ხარისხის ამაღლება. მოსწავლეთა სწავლის მოტივაციის გაზრდა. სასკოლო ცხოვრების გამრავალფეროვნება, სასკოლო კლუბების განვითარების ხელშეწყობა, მოსწავლეების ჩართულობა სხვადასხვა სასკოლო აქტივობებში:

ოლიმპიადები, კონკურსები ექსკურსიები. აღნიშნული პროგრამა წარმატებით განხორციელდა 2018 წელსაც.

უმაღლესი სასწავლებლების ხელშეწყობა

2019 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ ოთხ უმაღლეს სასწავლებლისთვის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხელშეწყობის, უმაღლესი პროფესიული, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განხორციელებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით აჭარის ბიუჯეტიდან გამოყოფილია 3 562 926 ლარი.

2018 წელს გამხორციელდა სამი უმაღლესი სასწავლებლის დაფინანსება: სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია და სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი. ბიუჯეტი - 7 914 800 ლარი. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში აშენდა ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის ახალი კორპუსი ქ.ქობულეთში, კაიკაციშვილის ქ. N1-ში, ასევე, დასრულდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი სასწავლო კორპუსი ბათუმში, ლეონიძის ქ.15-ში, რისთვისაც გაიხარჯა 2 146,2 ათასი ლარი.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიამ შეიძინა და დაამონტაჟა ECDIS - ელექტრონული-კარტოგრაფიული მოწყობილობები და ინფორმაციული სისტემა ტრენაჟორი 12 მსმენელზე, GMDSS - საზღვაო კავშირის გლობალური სისტემა (გამოიყენება ძიებისა და უბედური შემთხვევების დროს) ტრენაჟორი და სამანქანე განყოფილების უახლესი ტრენაჟორი თაჩსქრინ ფუნქციით. შეძენილია პროფესიულ ცენტრში არსებულ სიმულატორულ კომპლექსებზე კომპანია Applied Reserch International Pvd.Ltd (Ari Simulation)-ისგან დამატებითი მოდულის პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები და განახლდა არსებული პროგრამა. შეძენილია სიმულატორებისათვის და ლაბორატორიებისათვის კომპიუტერული ტექნიკა. შეძენილია ლაბორატორიებისათვის, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე სპეციალური ინვენტარი (მაგიდა/სკამი), რისთვისაც გაიხარჯა 1 292,2 ათასი ლარი.

სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში გაუმჯობესდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ინფრასტრუქტურა. რეაბილიტირდა უნივერსიტეტის შენობა. შენობა აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარით და სასწავლო ტექნიკით, რისთვისაც გაიხარჯა 2 248,3 ათასი ლარი.

საჯარო სკოლების საპენსიონო მომსახურების, გაძლიერებული (უცხო ენები და ფიზიკა-მათემატიკა) და ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობა - 1 025 360 ლარი - 2019 წელი

ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის ფარგლებში სახელმწიფოს პრიორიტეტია საპენსიონო მომსახურების დაწესებულებების ბენეფიციარი მოსწავლეების დაბრუნება ბიოლოგიურ ოჯახებში, ან განთავსება ალტერნატიულ ოჯახურ გარემოსთან მიახლოებულ სერვისებში. შესაბამისად აქცენტი აღებულია გაძლიერებული სწავლების დანერგვაზე. საჯარო სკოლები, რომლებიც ახორციელებენ საპენსიონო მომსახურებას უზრუნველყოფილი არიან კვებით და სხვა ყველა საჭირო საცხოვრებელი მომსახურებით.

ბათუმში ფუნქციონირებს ინგლისური ენისა და ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებული სწავლების სკოლები.

რეგიონში სახელოვნებო განათლების ხარისხის ამაღლების, კულტურისა და ხელოვნების სფეროს კვალიფიციური სპეციალისტებით უზრუნველყოფისათვის ფუნქციონირებს 7 სახელოვნებო სკოლა, რომელთა ბიუჯეტი შეადგენს 4 809 400 ლარს. სახელოვნებო სკოლები უზრუნველყოფენ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და დანერგვას. პრიორიტეტულია სახელოვნებო-საგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეების სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობა.

კულტურა

აჭარის რეგიონი გამოირჩევა კულტურული რესურსების, ფესტივალებისა და სხვა კულტურული აქტივობების მრავალფეროვნებით, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ფოლკლორის უნიკალური ნიმუშებით. აჭარის მთავრობა ხელს უწყობს რეგიონში ერთიანი კულტურის პოლიტიკის გატარებას, კულტურის განვითარებასა და პოპულარიზაციას.

2019 წელს კულტურის პოპულარიზაცია და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობის მიზნით ხორციელდება პროგრამა, რომლის ბიუჯეტია 568 369 ლარი.

პროგრამა ითვალისწინებს კულტურის ღონისძიებების ორგანიზებას - კონცერტების, წარმოდგენების, გამოფენების, სახელოვნებო პროექტებისა და სხვა კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობას. ამ პერიოდისათვის დაფინანსებულია 6 კულტურული ღონისძიება.

2018 წელს რეგიონში კულტურული ცხოვრების ხელშეწყობის და სახელოვნებო პროექტების განხორციელების მიზნით დააფინანსდა 25 ღონისძიების ორგანიზება.

2019 წელს „კულტურის თანამედროვე მიმართულებების განვითარების ხელშეწყობის მიზნით“ დაფინანსდა 5 თავისუფალი პროექტი და ერთი მხატვრის საუბილეო გამოფენა.

ხოლო 2018 წელს, განხორციელდა 7 თავისუფალი პროექტი, 12 სახვითი და მულტიმედიური ხელოვნების პროექტი.

2019 წელს „აჭარაში კინოხელოვნების განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამა ფინანსდება 176 500 ლარით. წელს პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულია იტალიაში, ჯიფონის კინოს საერთაშორისო ფესტივალზე ორი ბათუმელი მოსწავლის მონაწილეობა.

2018 წელს აჭარაში კინოხელოვნების განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა ორი მხატვრული ფილმის გადაღება.

2019 წლის პროგრამის კულტურის ორგანიზაციების ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობის ბიუჯეტია 1 043 000 ლარი. წელს ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინასდა სამუზეუმო სფეროს წარმოამდგენლების ვიზიტი გერმანიაში.

ასევე, „თეატრალური ფესტივალის ორგანიზების მხარდაჭერის“ პროგრამით იგეგმება საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ჩატარება. ამ პერიდასთვის პროგრამისა ფარგლებში - ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის დრამატული თეატრის ბიუჯეტში გადატანილ იქნა 46 743 ლარი პროექტორის შესაძენად.

2018 წლის სამუზეუმო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში აჭარის მუნიციპალიტეტებში მოქმედი მუზეუმების თანამშრომლებისთვის საექსპოზიციო საქმიანობისა და ფონდების მართვის თანამედროვე სტანდარტების ხელშეწყობის შესახებ ჩატარდა ტრენინგები. საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობის ფარგლებში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია „საქართველო უძველესი მეტალურგიის კერა“. მომზადდა ინკლუზიური საგანმანათლებლო პროგრამები, შემუშავდა მუზეუმის თანამშრომელთათვის სპეციალური სახელმძღვანელო, ჩატარდა პროექტში მონაწილე მუზეუმებში ტრენინგი.

2019 წლის პროგრამის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაციის პროგრამის ბიუჯეტია 215 531 ლარი.

პროგრამის მიზანია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა: მისი სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფა, მათ შორის მისი იდენტიფიკაცია, დოკუმენტირება, კვლევა, შენარჩუნება, დაცვა, პოპულარიზაცია, მისი როლის ამაღლება და მისი გადაცემა თაობებისათვის უმთავრესად არაფორმალური განათლების მეშვეობით, აგრეთვე არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სხვადასხვა დარგის და მიმართულებების შენარჩუნება.

ამ პერიოდისათვის ჩატარებულია აჭარის რეგიონში სიმღერისა და ცეკვის ბავშთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადა გამოვლენილ გამარჯვებულები გრან პრის მფლობელებს სამინისტრო დაუფინანსებს საზღვარგარეთ გასტროლს. I, II, III ადგილის მფლობელებს სამინისტრო შეუკერავს ახალ სასცენო სამოსს. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 2018 წელს სასცენო სამოსი გადაეცა 5 მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრების ფოლკლორული ანსამბლის 132 შემსრულებელს.

2019 წლის კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ბიუჯეტია 143 000 ლარი.

პროგრამის მიზანია აჭარის რეგიონში მოღვაწე კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; ხელოვანთა შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობა; კულტურის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობა; კულტურის სფეროს წარმომადგენელთა კულტურის მენეჯმენტის მიმართულებით გადამზადების ხელშეწყობა, შემოქმედებითი პროცესების გააქტიურება. ამ პერიოდისათვის საზღვარგარეთ გასტროლი დაუფინასდა 79 ხელოვანს.

წელს რეგიონის ცნობადობის და ტურისტული პოტენციალის გაზრდის მიზნით განხორციელდება „კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის პროგრამას“, რომლის ბიუჯეტია- 523 100 ლარი. პროგრამის ფარგლებში გამოვლინდა 11 გამარჯვებული ფესტივალი, რომლებიც ბათუმში ივნისიდან-ნომბრამდე გამართავენ მასშტაბულ კულტურულ ღონისძიებებს. 2018 წელს კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა 10 ღონისძიება და ჩატარდა ფოლკლორული კონცერტები.

სახელმწიფოს პროერიტეტია კულტურული დაწესებულებების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ადაპტირება. ამ მიზნით 2019 წელს განხორციელდება ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის შენობის ადაპტირება.

2018 წელს შესყიდული იქნა 5 კულტურული დაწესებულების ადაპტირების პროექტი, რომელიც ხელს შეუწყობს ორგანიზაციების ევროპულ სტანდარტამდე მიყვანას:

2019 წელი - „კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, განვითარება და პოპულარიზაცია“

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა და მიმდინარეობს შემდეგი ღონისძიებები:

- ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ძეგლების რეაბილიტაცია. განხორციელდა ქ. ბათუმში სამი ავარიული ძეგლის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.
- გონიოს ციხის ინფრასტრუქტურული მოწესრიგება. ხელშეკრულებები გაფორმებულია და მიმდინარეობს გონიოს ციხეში რომაული ბანაკის დასრულების, ასევე არქეოლოგიური უბნების კონსერვაციისა და ინფრასტრუქტურის მოწესრიგების სამუშაოები.
- ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ძეგლების პროექტების შესყიდვა. ხელშეკრულებები გაფორმებულია და მიმდინარეობს 5 ავარიული ძეგლის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტის შესყიდვა. ბიუჯეტი 100 000 ლარი.
- პეტრას ციხის ინფრასტრუქტურით მოწესრიგება. ბიუჯეტი 700 000 ლარი;
- ქ. ბათუმში გორგასალის ქ. N24 მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რეაბილიტაცია. ბიუჯეტი - 338 000 ლარი.
- ქ. ბათუმში კ. გამსახურდიას ქ. N10 მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რეაბილიტაცია. ბიუჯეტი - 140 000 ლარი.
- ხინოს ნაეკლესიარის რეაბილიტაცია. ბიუჯეტი - 70 000 ლარი;

- არქეოლოგიური გათხრების ორგანიზება. მოეწყობა ექსპედიციები გვარას ციხეში, გონიოს ციხეში, ფიჭვნარში და ბეშუმის ტერიტორიაზე.
- არქეოლოგიური გათხრების შესახებ საინფორმაციო მასალების გამოცემა. ბიუჯეტი - 42 000 ლარი.
- განხორციელდება საინფორმაციო-მარკეტინგული ღონისძიებები ძეგლების პოპულარიზაციის მიზნით. ბიუჯეტი - 40 000 ლარი;
- ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ძეგლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები. მოქალაქეთა მომართვის საფუძველზე განხორციელდება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.
- ხიხანის ციხის კოშკი N3-ს რეაბილიტაცია. ბიუჯეტი 95 000 ლარი;
- ხიხანის არქეოლოგიური გათხრების შესახებ წიგნის გამოცემა. ხელშეკრულებები გაფორმებულია და მიმდინარეობს წიგნის დიზაინის მომზადება. ბიუჯეტი 8000 ლარი.

2018 წელს „კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება“ ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა:

- ხიხანის ციხის კოშკი N3 რეაბილიტაცია. ბიუჯეტი - 30 400 ლარი;
- განხორციელდა ზვარეს ჯამეს, უშაკოვის აგარაკის, სოფელ ჭინკაძეებში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, ქ. ბათუმი კ. გამსახურდიას ქN36-ში და მახინჯაურში, ჯინჭარაძის ქ. N21-ში მდებარე ძეგლების სარეაბილიტაციო სამუშაოები. ბიუჯეტი 66 307 ლარი.
- განხორციელდა გონიოს არქეოლოგიური უბნების, ჩხერის ხიდის, ხინოს ნაეკლესიარის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა. ბიუჯეტი 50 000 ლარი. დაიწყო გონიოს ციხეში რომაული ბანაკის მოწყობის სამუშაოები. ბიუჯეტი 350 845 ლარი. ქ. ბათუმში, მ. აბაშიძის ქ. N48 მდებარე ძეგლის რეაბილიტაცია (ტელევიზიის შენობა). ბიუჯეტი - 88 888 ლარი.
- არქეოლოგიური გათხრები განხორციელდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გვარას ციხეზე, გონიოს ციხეზე, კოლოტაურის ციხეზე და ფიჭვნარის ტერიტორიაზე. ბიუჯეტი 84 950 ლარი. - ჩატარდა 5 საინფორმაციო-მარკეტინგული ღონისძიება. ბიუჯეტი 39 999 ლარი.

მიმდინარე წელს დაიწყება კულტურული მემკვიდრეობის 5 ძეგლის სრული რეაბილიტაცა-რესტავრაცია, როგორც საკულტო, ისე ურბანულ ნაგებობის.

ჯანსაღი ცხოვრების ხელშეწყობა

2019 წელს აჭარაში სპორტის განვითარების ხელშეწყობისა და პოპულარიზაციისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილია 3 433 610 ლარი.

2018 წელს ბათუმმა უმასპინძლა 43-ე მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადას, სადაც მონაწილეობას იღებდა 180 ქვეყნის 4,000-მდე სპორტსმენი და ოფიციალური პირი;
ასევე, გაიმართა 50-ე საიუბილეო ჩემპიონატი ძალოსნობაში, რომელშიც მონაწილეობდა 42 ქვეყნის 400-ზე მეტი ძალოსანი;

სპორტული ღონისძიებები - ბოლო წლის განმავლობაში ჩატარდა აჭარაში მოქმედი 36 სპორტული ფედერაციის 236 ღონისძიება, რაც 976 267,52 ლარით დაფინანსდა.

აჭარის ნაკრები გუნდების წევრთა, მთავარ და პირად მწვრთნელთა მიერ მიღწეული განსაკუთრებული წარმატებების წასახალისებლად ერთჯერადი ფულადი ჯილდოები - საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 280 000 ლარს. სხვადასხვა რანგის ჩემპიონატებსა თუ პირველობებში მიღწეული იქნა წარმატებები და 362 სპორტსმენსა და მწვრთნელზე გაცემული იქნა ერთჯერადი ფულადი ჯილდოები სულ თანხით 278 251,28 ლარის ოდენობით.

სათამაშო და ინდივიდუალურ სახეობათა განვითარების ხელშეწყობა - 6 თვის გეგმა შეადგენს 469 950 ლარს. ქვეპროგრამის თანახმად საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 35 სასწავლო-საწვრთნო შეკრება რაგბში, წყალბურთში, ხელბურთში, ფეხბურთში, ინდორ ჰოკეიში, ფრენბურთში, კალათბურთში, მშვილდოსნობაში, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, თავისუფალ ჭიდაობაში, ძალოსნობასა და ძიუდოში.

მწვრთნელთა, მსაჯთა და სპორტსმენთა სოციალური მხარდაჭერა და წახალისება - ქვეპროგრამის 6 თვის გეგმა 84 750 ლარს შეადგენს. საანგარიშო პერიოდში ყოველთვიური 187,50 ლარიანი დახმარება გაეწია საპენსიო ასაკის 46 ბენეფიციარს 43 125 ლარის ოდენობით, არასაპენსიო ასაკის საქართველოს დამსახურებულ 14 მწვრთნელზე გაცემული იქნა 187,50 ლარიანი დახმარება 12 937,50 ლარის ოდენობით. სულ გაწეული ხარჯი შეადგენს 62 062,50 ლარს.

2018 წელს *სპორტის ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა ხუთი ქვეპროგრამა. პროგრამა.*

- სპორტული ღონისძიებები;
- აჭარის ნაკრები გუნდების წევრთა, მთავარ და პირად მწვრთნელთა მიერ მიღწეული განსაკუთრებული წარმატებბეის წასახალისებლად ერთჯერადი ფულადი ჯილდოები;

- სათამაშო და ინდივიდუალურ სახეობათა განვითარების ხელშეწყობა;
- მწვრთნელთა, მსაჯთა და სპორტსმენთა სოციალური მხარდაჭერა და წახალისება;
- სპორტული ინვენტარის შეძენა.

ქვეპროგრამის სპორტული ღონისძიებების 2018 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 1 342,9 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა აჭარის ჩემპიონატების, პირველობებისა და სასწავლო-საწვრთნო შეკრებების ჩატარება, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში, სხვადასხვა საერთაშორისო და რესპუბლიკურ ტურნირებში აჭარის გუნდებისა და სპორტსმენების მონაწილეობა. გასულ წელს ჩატარდა აჭარაში მოქმედი 36 ფედერაციის 448 ღონისძიება.

ქვეპროგრამის - აჭარის ნაკრები გუნდების წევრთა, მთავარ და პირად მწვრთნელთა მიერ მიღწეული განსაკუთრებული წარმატებების წასახალისებლად გაიცა ერთჯერადი ფულადი ჯილდოები.

აჭარაში მოქმედი სპორტული ფედერაციის 461 სპორტსმენსა და მწვრთნელს სხვადასხვა რანგის ჩემპიონატებსა თუ პირველობებში მიღწეული წარმატებებისათვის ქვეპროგრამის ფარგლებში გადაეცა ერთჯერადი ფულადი ჯილდო.

ქვეპროგრამის - სათამაშო და ინდივიდუალურ სახეობათა განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში წლის განმავლობაში ჩატარდა 63 სასწავლო-საწვრთნო შეკრება ხელბურთში, ფრენბურთში, წყალბურთში, ფეხბურთში, კალათბურთში, ინდორ ჰოკეიში, თავისუფალ ჭიდაობაში, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, მშვილდოსნობაში, ძიუდოში, ძალოსნობაში და რაგბში.

ქვეპროგრამის - „მწვრთნელთა, მსაჯთა და სპორტსმენთა სოციალური მხარდაჭერა და წახალისება“ ფარგლებში 2018 წლის განმავლობაში ყოველთვიური 187,50 ლარიანი დახმარება გაეწია 59 ბენეფიციარს, იუბილეებისა და სხვა ღირსშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით მატერიალური მხარდაჭერა გაეწია 23 ბენეფიციარს - სულ თანხით 12,3 ათასი ლარი. საპენსიო და არასაპენსიო ასაკის სპორტის მუშაკთა, სპორტის დამსახურებულ მუშაკთა, მოღვაწეთა და მწვრთნელთა გარდაცვალების შემთხვევაში ოჯახისათვის გაწეულია ერთჯერადი დახმარება.

სპორტული ინვენტარის შეძენის ქვეპროგრამით 34 სპორტული ფედერაციას სხვადასხვა სახეობის სპორტული ინვენტარი გადაეცა.

სოფლის მეურნეობა

აჭარაში სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის კუთხით სხვადასახვა მნიშვნელოვანი პროგრამა ხორციელდება. ერთ-ერთ ძირითად სამთავრობო

პრიორიტეტს სოფლის მეურნეობის გაძლიერების პარალელურად მისი ტურიზმის სექტორთან კიდევ უფრო ეფექტური დაკავშირების უზრუნველყოფაა. პარალელურად აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ეკო ტურიზმის განვითარების მიმართულებით. სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და საერთაშორისო ბაზრებზე მისი ეფექტური რეალიზაციის ხელშეწყობისთვის, ბიუჯეტში ყოველწლიურად ხდება შესაბამისი ფინანსური რესურსების მობილიზება.

სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა

ქვეპროგრამის მიზანი: ქვეპროგრამის მიზანს წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლის ეფექტურობის ამაღლება, მცირეკონტურიანი ნაკვეთების დამუშავების უახლესი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა.

- ბოლო ერთი წლის განმავლობაში აღნიშნული ქვეპროგრამით ფერმერებს და აგრომეწარმეებს 656 ცალი მექანიზაციის ტექნიკური საშუალებები გადაეცათ. შეძენილ იქნა 5 ერთეული ტრაქტორი, რომელიც ფერმერებს მომსახურეობას შეღვათაინ ფასად გაუწევს.
- 2018-2019 წლებში ფერმერებს და აგრომეწარმეებს 3862 ერთეული ბაღის მობილური შემასხურებელი აპარატი გადაეცათ.

მაღალეფექტური მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის მიზანი: აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მრავალწლიანი ბაღების გაშენების გზით ფერმერთა და აგრომეწარმეთა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

- ბოლო 1 წლის განმავლობაში აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებთან გაშენებულია მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების (კაკალი, მოცვი, ვაზი, მანდარინი და სხვა) ბაღები, 38-ჰა. ხოლო 2019 წელს გათვალისწინებულია სხვადასხვა მრვალწლიანი ბაღების გაშენება, 52-ჰა. პროექტის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ისეთი ახალი მიმართულებების გაჩენას, როგორებიცაა - კენკროვანანი კულტურების (მოცვი, ჟოლო, კივი) განვითარება, რომელთა ბაღების გაშენებასაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო სრულად, 100 %-ით აფინანსებს, 0,1-1 ჰა ფართობზე.

მაღალეფექტური ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის მიზანი: მაღალპროდუქტიული ნიორისა და კრტოფილის სარგავი მასალის ფერმერებზე და აგრომეწარმეებზე მიწოდების გზით რეგიონში წარმოებული პროდუქციის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების ზრდა.

- ქვეპროგრამის ფარგლებში 2018 წელს ფერმერებზე და აგრომეწარმეებზე განაწილებული იქნა 48 ტონა ნიორის მაღალპროდუქტიული სათესლე მასალა და სასუქები. შედეგად წარმოებულ იქნება 300 ტონა ნიორი.

სასათბურე მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის მიზანი: აჭარის დაბლობ ზონაში მაღალმწარმოებლური ტექნოლოგიების გამოყენებით სასათბურე სექტორის განვითარება, ფერმერულ მეურნეობებში საადრეო ბოსტნეული კულტურების წარმოების ხელშეწყობა, მოსახლეობის შემოსავლების ზრდა და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

- 2018 წელს ბენეფიციარებზე გადაცემულია სასათბურე კონსტრუქციები 6 ერთეული 2200 კვ.მ, რაც შეეხება 2019 წელს დაგეგმილია 5220 კვ.მ სასათბურე კონსტრუქციის გაცემა. 2019 წლიდან გაიზარდა თანადაფინანსება, კერძოდ: სათბურების მშენებლობის ღირებულების 80%-ის თანადაფინანსება განხორციელდება, ხოლო 20%-ის თანადაფინანსება - ქვეპროგრამის ბენეფიციარის მიერ. აღნიშნულ სასათბურე მეურნეობებში შესაძლებელი იქნება 150 ტონა ბოსტნეულის წარმოება ყოველწლიურად.

- ქობულეთის მუნიციპალიტეტში 2,5 ჰა-ზე განთავსდა 50 ერთეული 500 კვ.მ სასათბურე მეურნეობების აგროპარკი. უკვე დასრულდა ინფრასტრუქტურული სამუშაოებიც. ამ ეტაპზე მიმდინარეობს აღნიშნული აგროპარკის მართვა/განკარგვა/გასხვისების პროცედურები. აღნიშნულ სათბურებში შესაძლებელი იქნება ყოველწლიურად 500 ტონა ბოსტნეულის წარმოება.

2018 წელს აჭარის 3 მუნიციპალიტეტში (ქობულეთი, ხელვაჩაური, ქედა) დასრულებულია მომსახურების (ლოგისტიკური) ცენტრების მშენებლობა/აღჭურვა. ამჟამად მიმდინარეობს ხულოს და შუახევის ლოგისტიკური ცენტრების მშენებლობა, რომელიც დასრულდება შემოდგომაზე.

„მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობა“

ქვეპროგრამის მიზანი: მეფუტკრეობის დარგის განვითარება, მეფუტკრე ფერმერის/აგრომეწარმის მიერ შეძენილი ფუტკრის ოჯახების (ამანათ-ნაყარის) სუბსიდირების გზით.

უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წლიდან პირველად მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით 240 მეფუტკრე ფერმერს 1200 ფუტკრის ოჯახი გადაეცა, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ კიდევ უფრო განავითარონ მეფუტკრეობის დარგი.

„მაღალმთიან აჭარაში სანერგე, საჩითილე მეურნეობების და ვეტერინარული კლინიკის განვითარების ხელშეწყობა“

ქვეპროგრამის მიზანი: მაღალმთიან აჭარაში სანერგე, საჩითილე მეურნეობებისა და ვეტერინარული კლინიკის მოწყობა, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნერგებისა და ჩითილების წარმოება, კერძო ვეტერინარული სერვისების განვითარება.

ქვეპროგრამის ფარგლებში 2019 წელს პირველად მაღალმთიანი აჭარის ფერმერების შესაძლებლობა ექნებათ თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ ახალ სანერგეებსა და საჩითილე მეურნეობაში შეიძინონ უვირუსო ნერგები და ჩითილები, შედეგად კიდევ უფრო განავითარონ მეხილეობა, მევენახეობა და მებოსტნეობა. ვეტერინარული კლინიკის განვითარებით მეცხოველეობაში დასაქმებულ ფერმერებს შესაძლებლობა ექნებათ შეღავათიან ფასად მიიღონ ვეტერინარული სერვისები.

გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვა

2018 წელს **გარემოსდაცვითი პროგრამის** ფარგლებში, ატმოსფერული ჰაერის, ზედაპირული და ჩამდინარე წყლების ხარისხობრივი მდგომარეობის მონიტორინგი განხორციელდა.
2018 წელს განხორციელდა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები **ტყის მდგრადი მართვის** უზრუნველყოფისათვის. გაყვანილი იქნა 29 კმ სიგრძის ახალი გზა და რეაბილიტირებული იქნა 158.4 კმ საერთო სიგრძის არსებული გზა;
2019 წელს დაგეგმილია არანაკლებ 25 კმ საერთო სიგრძის ახალი სატყეო დანიშნულების გზების მშენებლობა და არანაკლებ 100 კმ. ძველი გზების რეაბილიტაციის სამუშაოები.

საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ფარგლებში ტყის რესურსებით სარგებლობისა და სატყეო სექტორის მართვის საკითხებთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, სტუდენტები და მოსწავლეები ტყის მოვლა-პატრონობის აქციებსა და ინიციატივებში ჩაერთნენ.

2019 წლის საკურორტო სეზონის პერიოდში120 ერთეული ზღვის წყლის სინჯის ანალიზი განხორციელდება.

2019 წელს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის მიმართულებით დაგეგმილია:

- აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ნარჩენების მართვის მდგომარეობის შესწავლა;
- ქ. ბათუმის, ხელვაჩაურის, ქობულეთის, ქედის, შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტების მოსახლეობის სასოფლო და კომუნალურ წყალსადენებზე გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესრულების მდგომარეობის შესწავლა;
- რეგიონში განთავსებული ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელი ობიექტების აღრიცხვა;
- მჭიდროდ დასახლებულ უბნებში სამეურნეო წყლების გაწმენდა - გაუვნებელყოფის მდგომარეობის შესწავლა;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სუბალპურ ზოლში არსებული მდგომარეობის შესახებ მონიტორინგი (შუახევის მუნიციპალიტეტი);
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე გავრცელებული წითელი ნუსხის სახეობების მდგომარეობის შესახებ (ჩვეულებრივი წაბლი (*Castanea sativa*), პონტური მუხა (*Quercus pontica C.)*, კოლხური მუხა (Quercus hartwissiana), უხრავი (*Ostrya carpinifolia),* ხემარწყვა (*Arbutus andrachne*), უთხოვარი *(Taxus baccata L.)*, მედვედევის არყი (*Betula medwediewi)* მონიტორინგი (შუახევის მუნიციპალიტეტი);აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ბზის დაავადების გავრცელების მდგომარეობაზე მონიტორინგი;